

472  
1945

F

უფახო  
ქართული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების  
სახალხო კომისიების ბრძა-  
ნებითა და განკარგულებითა

# პრეზული

წელიწადი მერვე

№ 4—7	Сборник приказов и Распоряжений НКПроса Груз. ССР	1945 წ.
-------	--	---------

## შინაარსი

დაწყებითი სკოლის პროგრამები და  
სასწავლო გეგმები

8604

1. ქართული ენა . . . . . 2 გვ.
2. ლიტერატურა . . . . . 21 "
3. რუსული ენა . . . . . 31 "
4. არითმეტიკა . . . . . 47 "
5. ახალი სასწავლო გეგმა და პროგ-  
რამები . . . . . 61 "



# ღაწყებითი სკოლის პროგრამები

## ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა

### განმარტებითი ბარათი

დაწყებითი სკოლის ამოცანაა, გაამდიდროს მოწაფეთა მეტყველება ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, შეასწავლოს მათ წერა-კითხვა, შეუმუშაოს გამომეტყველებითი კითხვისა და წაკითხულის გაგების ჩვევები, შეაჩვიოს წაკითხულის, გაგონილის, საკუთარი ნააზრევის დალაგებით გადმოცემასა და სწორი ენით წერას. დაწყებით სკოლაში გამომუშავებული ჩვევები წიგნზე მუშაობისა, სწორი წერისა და სწორი მეტყველებისა უფროს კლასებში უფრო რთულ მასალაზე უნდა ღრმადედგოდეს.

პროგრამაში გათვალისწინებულია მუშაობის ყველა სახე: კითხვა, წერა, ზეპირი მეტყველების განვითარება, გრამატიკა, მართლწერა. მუშაობის ეს სახეები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ერთსა და იმავე მასალაზე ერთდროულად წარმოებს მათი დამუშავება, ოღონდ დრო მათ ერთნაირად არ ხმარდება.

### I კ ლ ა ს ი

პირველ კლასში, მთავარია, მოწაფეებმა შეისწავლონ კითხვა და წერა. წერა-კითხვა ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით ისწავლება. წერა-კითხვის სწავლების დაწყებამდის მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს. პირველ ყოვლისა გავიგებთ, რა ლექსიკური მარაგი აქვთ ახალშემოსულთ, როგორ მსჯელობენ ისინი და სხვა. მოწაფეთა მეტყველება ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით მდიდრდება სკოლის გარემოს გაცნობასთან დაკავშირებით. მასწავლებელი უკითხავს მოწაფეებს ნაცნობი მოვლენების შესახებ პატარ-პატარა სახალისო მოთხრობებსა და ლექსებს, მოწაფეები მსჯელობენ წაკითხულის, ნახულ-გაგონილის შესახებ, იყენებენ საუბარში ახალშეძენილ სიტყვა-გამოთქმებს. გზადაგზა ვარჯიშობენ ფანქრით ხატვა-ხაზვაში, ეჩვევიან სწორად ჯდომას. შემდეგ გადადიან კითხვა-წერაზე. პირველ ხანებში ახალი ბგერა-ასოს გაცნობას წინ უძღვის იმ სიტყვის გამოყენება საუბარში, რომელიც შეიცავს ამ ახალ ბგერას. კითხვა და წერა მიმდინარეობს ერთსა და იმავე

დროს კითხვის დაწყებამდე მასწავლებელი ატარებს ცოცხალ საუბარს, საუბარში ნახმარ წინადადებას შლის სიტყვებად, სიტყვებს მარცვლებად, მარცვლებს—ბგერებად და ავარჯიშებს მოწაფეებს ვარჯიშის შემდეგ მასწავლებელი გამოჰყოფს ცალკე ბგერას და აჩვენებს მის ბეჭდურ გამოხატულებას, ე. ი. ასოს. აქ მთავრდება ანალიზი. დაბეჭდილი ასოს გაცნობის შემდეგ ხდება სიტყვის შედგენა მოძრავი ასოებისგან. აქ უკვე საქმე გვაქვს სინთეზთან.

**კითხვა.** ამგვარად, კითხვა წარმოებს სიტყვის ანალიზის შემდეგ. კითხულობენ იმავე სიტყვებს, რომლებიც დაიყო მარცვლებად და ბგერებად. მოწაფეები მოძრავი ასოებისაგან აღგენენ მარცვლებს, სიტყვებსა და ორ-სამსიტყვიან წინადადებებს. ასეთი წესით ვარჯიში მოწაფეს უვითარებს კითხვის ტექნიკას და ააყვამის ჩათვლით კითხვის ჩვევას. იმავდროულად იწყება საანბანო წიგნის გამოყენება. მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ ბავშვებმა არ დაასახელონ ცალკე ბგერა, იკითხონ მარცვლების საშუალებით, ჩუმად ჩაკითხვის გარეშე.

**წერა.** ახალი ასოს კითხვის შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოწაფეებს იმავე ასოს წერას. ვაჩვენებთ წერის ნიმუშს, ვამახვილებთ ყურადღებას ასოს ცალკეულ მოხაზულობაზე.

ახალშესწავლილი ასოს წერის განმტკიცება ხდება მარტივი სიტყვებისა და წინადადების გამოყენებით.

**ზეპირი მეტყველება.** პირველი გაკვეთილებიდანვე ყურადღება უნდა მივაქციოთ მოწაფეთა მეტყველების განვითარებას: შევუსწოროთ არასწორი გამოთქმები, გავწმინდოთ მათი მეტყველება პროვინციალური გამოთქმებისაგან და სხვა.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ (ზოგან შედარებით უფრო გვიან) მოწაფეები იმდენად უნდა დაეუფლონ წერა-კითხვას, რომ შეუცდომლად შეეძლოთ სიტყვებისა და მოკლე-მოკლე წინადადების გადაუმეგლი ასოებით წერა, პატარა მოთხრობა-ლექსების დაუბრკოლებლივ, შედარებით ჩქარა და ხმამაღლა კითხვა. კითხვის დროს მოწაფეები უნდა შევარჯიშოთ გამომეტყველებით წარმოთქმას, უცნობი სიტყვების შენიშვნას, აღვუჩინოთ მათ ინტერესი ამ უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გაგებისა. უნდა შევადლებინოთ კითხვებზე პასუხის გაცემა წაკითხული მასალის მიხედვით. ყოველივე ამის შემდეგ დასაშვებია გრამატიკიდან წინადადების გაცნობა.

**გრამატიკა და მართლწერა.** პირველად ვაცნობთ მარტივ თხრობით წინადადებას ყოველგვარი განსაზღვრების გარეშე. პატარა ამბავი (მოთხრობა), სადაც მხოლოდ წერტილებია ნახმარი, დაიყოფა

წინადადებად, რომლებიც დასრულებულ აზრს უნდა გამოხატავდეს; მაგალითად: „მამამ ვანოს წიგნი უყიდა. წიგნში ლამაზი სურათები იყო. ვანოს სურათები მოეწონა“. ამგვარი მოთხრობა იწერება დაფაზე წერტილების სათანადო ადგილას დასმით. წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი შეეცდება გამოაყოფინოს მოწაფეებს დასრულებული აზრის გამოხატველი ერთეული. ეკითხება მათ: „მამამ“—გამოხატავს თუ არა აზრს?—არა. „მამამ ვანოს?“—არც ეს. „მამამ ვანოს წიგნი?“—არც ეს. „მამამ ვანოს წიგნი უყიდა“.—ეს გასაგებია, გამოხატავს დასრულებულ აზრს.

ამგვარი მუშაობა გრძელდება ბოლომდის. გამოიკვება, რომ დაწერილი ამბავი შედგება სამი დასრულებული აზრის გამოხატველი ერთეულისაგან. ყოველ ერთეულში სიტყვები გვაქვს. დასრულებული აზრის გამოხატველი სიტყვათა ჯგუფი არის წინადადება. ბავშვის სათვის სრულებით არ არის სავალდებულო პირველ ხანებში იცოდეს წინადადების ეს განსაზღვრება, მაგრამ მას აუცილებლად უნდა ესმოდეს, რომ მოთხრობა იყოფა წინადადებებად და რომ წინადადებით დასრულებული აზრია გამოხატული. შემდეგ ყურადღებას ვაქცევთ იმ ნიშანს, რომელიც წინადადების ბოლოშია დასმული და ვაძლევთ სახელწოდებას—**წერტილს**.

საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე წინადადების სწორ წარმოთქმას, ინტონაციას (ხმის აწივ-დაწივას). წარმოთქმაზე დაკვირვებით შევამჩნევთ, რომ ყოველი წერტილიანი წინადადება თავდება ხმადაბლა და დასასრულს ცოტას ვჩერდებით. წერაში წინადადების დასრულება და მასთან დაკავშირებული შეჩერება (პაუზა) წერტილით ღინიშნება.

ეს ცოდნა უნდა გავამტკიცოთ როგორც კითხვა-ლაპარაკში, ასე წერაში. ამას მივალწევთ ორი გზით: მოთხრობების გამომეტყველებით კითხვითა და წერით.

პატარა მოთხრობას, სადაც მხოლოდ წერტილებია ნახმარი, გავარჩევთ ზემონაჩვენები ხერხით. კითხვების საშუალებით გავიგებთ, წერტილები თავის ადგილას არის თუ არა (შეიძლება დაფაზე დავუწეროთ უწერტილებო წინადადებანი და დავასმევინოთ წერტილები). როცა დავრწმუნდებით, რომ წერტილები კარგადაა დასმული, წაკითხვით გამომეტყველებით (სათანადო ინტონაციის დაცვით).

წერის დროს მოწაფეებს ნაცნობი მოთხრობის მიხედვით კითხვებს დავუსვამთ და სრულ პასუხს დავაწერიებთ. პასუხებმა პატარა მოთხრობა უნდა მოგვცეს. მაგ., ასე: „რა უყიდა მამამ ვანოს?“ — „მამამ ვანოს წიგნი უყიდა“. და ასე შემდეგ. პასუხი შეიძლება სხვა სიტყვებს

შეიცავდეს ან სიტყვათა სხვაგვარი დალაგებით იყოს მოცემული, მაგრამ ეს დასაშვებია. პასუხებისაგან შემდგარ მოთხრობას მასწავლებელი გადათვალთვალავს იმის გასაგებად, თუ რამდენად შესაძლებელია მოწაფეებმა წერტილი დაესვათ. ანდა მოწაფეებს ეძლევათ ისეთი სურათი, რომლის სიუჟეტი 2—3 წინადადებით გადმოიციემა. მოწაფეები აღწერენ ამ სურათს და წინადადების ბოლოს წერტილებს დასვამენ. თუ ვინმეს შეცდომა ექნება, მასწავლებელი მას შეასწორებინებს. ამგვარი მუშაობა საკმაო ხანს გრძელდება. მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მოწაფეს ესმოდეს, რატომ წერს ის წერტილს გარკვეულ ადგილას და არ შეიძლება დასვას იქ, სადაც მას მოეპოვებინება.

ამის შემდეგ ვასწავლით კითხვით წინადადებას. ჯერ ისეთ კითხვით წინადადებას ვაცნობთ, სადაც კითხვითი სიტყვა არ არის. ასეთი კითხვითი წინადადება შინაარს-ინტონაციის მხრივ თხრობითი წინადადების კონტრასტია. ამიტომ უმჯობესია თხრობითი წინადადება ვაქციოთ კითხვით წინადადებად, მაგ., ასე:

მამამ ვანოს წიგნი უყიდა.

მამამ ვანოს წიგნი უყიდა?

ვადარებთ ორივე წინადადებას ერთმანეთს და ვარკვევთ, რომ შინაარსით პირველი მომხდარ ამბავს გადმოგვცემს, მეორე კი შეკითხვას გამოხატავს, გვინდა გავიგოთ—უყიდა თუ არა წიგნი მამამ ვანოს. აქ შეიძლება მივაწოდოთ ტერმინები: პირველისათვის — თხრობითი წინადადება, მეორისათვის კითხვითი წინადადება.

პირველი (თხრობითი) წინადადება გადმოგვცემს რაიმე ამბავს, ხოლო მეორე (კითხვითი) წინადადებით უნდა გავიგოთ ის, რაც არ ვიცით. აქაც აუცილებელია წარმოთქმას, ინტონაციას დავაკვირდეთ. კითხვითი წინადადება შეკითხვას შეიცავს. იგი იწყება ხმადაბლა და თავდება ხმამალა, დამთავრებისას ცოტას შევჩერდებით (პაუზა). წერაში კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვითი ნიშანი (?) დაისმის.

ამის განსამტკიცებლად მასწავლებელი რომელიმე მოთხრობის მიხედვით კითხვებს აწერინებს და სრული პასუხის მოწერას მოითხოვს. ეს ვარჯიშობა კარგია იმ მხრივ, რომ მოწაფე კითხვითს ნიშანს წერს კითხვითი წინადადების ბოლოს და წერტილს—პასუხის ბოლოს.

შემდეგ გადავდივართ კითხვითსიტყვიან წინადადებაზე, როგორცაა: ვინ უყიდა ვანოს წიგნი? რა უყიდა მამამ ვანოს? როგორი სურათები იყო წიგნი? და სხვა. ესენიც კითხვითი წინადადებაე-

ბია და ამიტომაც უხვით ბოლოში კითხვითი ნიშანი, მაგრამ ზემო-  
განხილულისგან წარმოთქმით განსხვავდებიან. აქ ხმის ამალღება  
კითხვითის სიტყვებზეა: ვინ უყიდა? რა უყიდა? როგორი სურათები  
იყო? და სხვ. არის შემოხვევები, როცა ასეთ წინადადებებს ბოლო  
ში ხმის ამალღებით კითხულობენ; ეს დიდი შეცდომაა. მოწაფეებს  
უნდა გავაგებინოთ, რომ აქ შეკითხვის გამომხატველი არის „ვინ“,  
„რა“, „როგორი“ და სხვა ასეთი სიტყვები და ხმის ამალღებაც ასეთ  
სიტყვებზეა.

## II კ ლ ა ს ი

**კითხვა.** მეორე კლასში კითხვა უნდა იყოს შეგნებული, გამო-  
მეტყველებითი. ჯერ მასწავლებელი კითხულობს საწინამდებარე ლექსს  
ან მოთხრობას და შემდეგ აკითხებს ძლიერ მოწაფეებს (ორს, სამს).  
წაკითხვის შემდეგ უნდა გამოიყოს და აიხსნას უცნობი სიტყვები  
და გამოთქმები. უკანასკნელთა გამოყოფა მოწაფეებმა უნდა შესძლონ.  
მოწაფეთა მონაწილეობით ახსნილი სიტყვები ჩამოყალიბებული  
განმარტებითურთ ჩაიწერება რვეულში. ასეთი მუშაობა შეამზადებს  
წინადაგს ლექსიკონის გამოყენებისათვის. ნაწარმოები რაც შეიძლება  
დეტალურად გაიჩვენა: დაიყოფა სურათებად, თითოეულ სურათს  
(ნაწილს). შესაფერისი სათაური მოენახება, გადმოიცემა შინაარსი,  
გამოიყოფა დედააზრი და სხვა. სურათებად დაყოფის გასაადვილებ-  
ლად უნდა გავაცნოთ აბზაცი.

მეორე კლასში უნდა განვითარდეს ჩქარი კითხვა.

**წერა.** მეორე კლასში მოწაფეებს იმდენად აქვთ დაძლეული წე-  
რა-კითხვა, რომ მათ დაუბრკოლებლივ შეუძლიათ გადავიდნენ გა-  
დაბმული ასოების წერაზე (იხ. სუფთა წერის განმარტებითი ბა-  
რათი). საწერ მასალას ვიღებთ „ქართული წერის დედნიდან“ და  
გარჩეული მოთხრობა-ლექსებიდან. ესაა გადპოწერა, ან მოთხრო-  
ბის რომელიმე სურათის (ნაწილის) მარტივი გადმოცემა, მარტივი  
სურათის აღწერა და სხვა. საწერი სავარჯიშო აუცილებლად უნდა  
დამუშავდეს კლასში და შემდეგ დაიწეროს, წინააღმდეგ შემთხვევა-  
ში მოწაფეებს მივაჩვენებთ ცუდად წერას და ნაწერის გასწორებაც  
ძნელი იქნება.

**ზეპირი მეტყველება.** მოწაფის მეტყველება უნდა იყოს სხარ-  
ტი, შემდგარი მოკლე-მოკლე წინადადებებისაგან. აზრი თანდათან  
უნდა ვითარდებოდეს. ენა სწორი, ლიტერატურული უნდა იყოს.  
თუ სადმე ეშლება მოწაფეს, მასწავლებელმა უნდა გაუსწოროს. მო-  
წაფეებს უნდა მოვთხოვოთ, რომ სახელმძღვანელოში ნასწავლი უც-

ნობი სიტყვები და გამოთქმები გამოიყენონ საუბარსა და წერაში, ოღონდ გამოყენებამდე აუცილებელია აეუხსნათ მათი მნიშვნელობა და ხმარების საჭიროება.

**გრამატიკა და მართლწერა.** გრამატიკაში მეორდება თხრობითი და კითხვითი წინადადება. შემდეგ ვაცნობთ ძახილის წინადადებას. ამ უკანასკნელის მაგალითი ამოიღება ნაწარმოებიდან. პირველად განვიხილავთ მოწოდების ან ბრძანების გამომხატველ წინადადებას, მაგ.: „გაუმარჯოს წითელ არმიას!“ ან: „იშრომეთ და ისწავლეთ!“ ამათ გავარჩევთ შინაარს-ინტონაციის მხრივ და დავინახავთ, რომ პირველი გამოხატავს მოწოდებას, მეორე კი — ბრძანებას, და მათ ინტონაციაც შესაფერისი ახასიათებთ. წერაში ასეთი წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი (!) დაისმის. ამის განსამტკიცებლად შეიძლება გავარჯიშოთ ლოზუნგებისა და ბრძანებითი წინადადებების წერაში. შემდეგ გავარჩევთ ისეთი სახის ძახილის წინადადებას, რომელიც გამოხატავს აღტაცებას ან მწუხარებას და სხვ.

დასასრულ, სამივე სახის წინადადების ნათელსაყოფად ავიღებთ ერთისა და იმავე სიტყვებისაგან შედგენილ წინადადებებს, როგორცაა:

ახალგაზრდობა იმარჯვებს.  
ახალგაზრდობა იმარჯვებს?  
ახალგაზრდობა იმარჯვებს!

და ერთმანეთთან შეპირისპირებით ვარკვევთ მსგავსება-განსხვავებას შინაარს-წარმოთქმის მხრივ. ამით თავდება წინადადების გაცნობა.

გადავდივართ წინადადების წევრის—სიტყვის შედგენილობის გაცნობაზე. მოწაფეებმა იციან, რომ წინადადება სიტყვებისაგან, სიტყვები მარ. ვლებსაგან და მარცვლები ბგერებისაგან შედგება. საჭიროა გავაცნოთ: ბგერა, ასო, მარცვალი. ყოველი სიტყვა ბგერებისაგან შედგება. ბგერა ხმაა, მიიღება მხოლოდ წარმოთქმით. ბგერის წერიითი ნიშანი კი ასოა. ბგერა ო-გვარია: ხმოვანი და თანხმოვანი. ქართულში 5 ხმოვანია: ა, ე, ი, ო, უ, ხოლო თანხმოვანია ყველა დანარჩენი 28 ბგერა: ბ, გ, დ, ვ, ზ და სხვ. ხმოვანსა და თანხმოვანს შორის განსხვავება წარმოთქმაშია: ხმოვანს წარმოთქმისას პირი ღიაა და ჰაერი დაუბრკოლებლად ამოდის პირიდან, თანხმოვნის წარმოთქმის დროს კი პირი ან სულ არაა ღია, ან ცოტათი ღიაა და მოსუთნთქულ ჰაერს სადმე დაბრკოლება ხვდება, მაგ.: ბაგეებში (ბ, პ, ფ), კბილებთან (დ, ტ, თ) და სხვა.

ყოველი ხმოვანი მარცვალს შეადგენს. ხმოვანთან შეიძლება იყოს თანხმოვანი ან წინ ან შემდეგ, ან წინაც და შემდეგაც (მაგ. კა-ცი: აქ გვაქვს თანხმოვანი + ხმოვანი; ეს-ვი: ხმოვანი + თანხმოვანი; წიგ-ნი: თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი). ყველა ეს თითო მარცვალია. მარცვლის გაცნობა უნდა გამოვიყენოთ სიტყვის გადატანის საჭიროებისათვის. მარცვლის გაცნობისთანავე ვასწავლით დამარცვლას ისეთი სიტყვებისას, სადაც გვექნება თანხმოვანი + ხმოვანი, როგორცაა: კა-რი, კა-ლა-მი, მე-ლა-ნი და სხვ. შემდეგ ვაცნობთ შუაში ორ, სამ, და მეტთანხმოვნიან სიტყვათა დამარცვლას, მაგ.: წიგ-ნი, ბავ-შვი, ვერ-ცხლი და სხვ. ამასთანავე ვასწავლით სიტყვის გადატანის წესებს. წესი ასეთია: ერთი ასოს არც დატოვება შეიძლება და არც გადატანა (პირველ კლასში სჯობია ვაწერინოთ ისე, რომ გადატანა არ იყოს საჭირო). ერთლმარცვლოვანი სიტყვა არ გადაიტანება (ძმა, თხრა). გადავიტანთ თანხმოვანს ხმოვანითურთ (და-ფა, კა-რი). თუ შუაში ორი, სამი და მეტი თანხმოვანია, დაეტოვებთ ერთ თანხმოვანს და სხვებს გადავიტანთ ხმოვანითურთ (მაგ. წიგ-ნი, ბავ-შვი, ვერ-ცხლი).

მეორე კლასშივე უნდა გავაცნოთ ორწერტილის ხმარება ჩამოთვლილ სიტყვათა წინ და მძიმის დასმა ჩამოთვლილ სიტყვათა შორის. მოთხრობიდან ამოღებული მაგალითებით უნდა ვაჩვენოთ რომ ჩამოთვლილი რამდენიმე სიტყვის წინ შეიძლება იყოს შემკრები (განმაზოგადებელი) სიტყვა, მაგალითად: „მოწადეს აჩუქეს შემდეგისასწავლო ნივთები: წიგნი, ფანქარი, კალმისტარი, რვეულები“; ან: „მესტუმრნენ აშანაგები: გოგი, ვანო და ნუცა“. აქ ჩამოთვლილ სიტყვათა შორის წერაში დაისმის მძიმე (თუ და არის ნახმარი, მასთან მძიმე არ იწერება), ხოლო განმაზოგადებელი სიტყვის შემდეგ — ორწერტილი. ამას წინ უძღვის ერთგვარ საგანთა დაჯგუფებაზე ვარჯიშობა.

### III კ ლ ა ს ი

მესამე კლასში მეორდება და ღრმავდება პირველსა და მეორე კლასში მიღებული ცოდნა-ჩვევანი. ნაწარმოების წაკითხვა აქ უფრო, მხატვრული, ხოლო მისი გარჩევა უფრო დეტალური უნდა იყოს.

**გრამატიკა და მართლწერა.** აქ ვეცნობით წინადადების წევრების მნიშვნელობასა და დანიშნულებას. მაგალითისათვის ავიღოთ წინადადება: „სამი ახალი ტრაქტორი მიწას ხნავს“. ეს თხრობითი წინადადება შედგება ხუთი სიტყვისაგან. მნიშვნელობის მხრივ ასე გაირჩევა: ტრაქტორი, მიწა — საგნის სახელებია (არსებითი სახელია),



**ზნავს**—მოქმედებას გამოხატავს (ზმნაა), **სამი**—რიცხვს, რაოდენობას გვიჩვენებს (რიცხვითი სახელია), **ხოლო ახალი**—საგნის თვისებას აღნიშნავს (ზედსართავი სახელია). ამგვარი გარჩევა საჭიროა ამისათვის, რომ მოწაფეებმა შესძლონ სიტყვათა დაჯგუფება მნიშვნელობის მხრივ. სიტყვათა მნიშვნელობის გარკვევა ხშირად კითხვების საშუალებით შეიძლება; საგნის სახელის კითხვებია: ვინ? რა? (კაცი, ქალი... სახლი...); თვისების გამომხატველი სიტყვის კითხვებია: როგორი? როგელი? სადაური? როდინდელი? (თეთრი, ქალაქელი...), რიცხვის გამომხატველი სიტყვის კითხვებია: რამდენი? მერამდენე? და სხვ.

წინადადების წევრები **დანიშნულების მხრივ**. წინადადებაში ერთი სიტყვა (ხშირად საგნის სახელი) მოქმედს გამოხატავს, მეორე კი—მოქმედებას; მაგ.: „პიონერი მუშაობს“. აქ მოქმედია პიონერი, მისი მოქმედებაა—მუშაობს. მოქმედი ქვემდებარეა, მისი მოქმედება კი—შემასმენელი. მოქმედი შეიძლება იყოს ერთიც და ერთზე მეტიც (მრავალი). თუ ქვემდებარე მრავლობითშია, შემასმენელიც მრავლობითში იქნება; მაგ.: პიონერი მუშაობს — პიონერები მუშაობენ, ბავშვი თამაშობს—ბავშვები თამაშობენ (არ შეიძლება ითქვას: პიონერები მუშაობს, ბავშვები თამაშობს). აქ ყურადღება მახვილდება მხოლოდ ისეთ ქვემდებარეებზე, რომლებიც ცოცხალ, თვითმოძრავ, აქტიურ საგნებს წარმოადგენენ. წესი ასეთია: თუ ქვემდებარე ცოცხალია და მრავლობით რიცხვშია, შემასმენელიც მრავლობით რიცხვში უნდა იყოს: ბავშვები თამაშობენ... თუ ქვემდებარე არაა ცოცხალი, არაა აქტიური, შემასმენელი მხოლოდობითში უნდა იყოს (მაგ.: მთები მოჩანს). ქვემდებარე-შემასმენლის გარდა სხვა სიტყვები წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებია.

წინადადება შეიძლება იყოს სრული და არასრული. აგრეთვე წინადადება შეიძლება იყოს გავრცობილი და გაუვრცობელი. გაუვრცობელი წინადადება შედგება მხოლოდ ქვემდებარისა და შემასმენლისაგან, გავრცობილ წინადადებაში კი ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა მეორეხარისხოვანი წევრებიც შედის.

ბრჭყალების შესწავლისას უმჯობესია პირველად ავიღოთ მოთხრობის ან ლექსის სახელწოდება, რომელიც ჩვეულებრივ საუბარშიც გვხვდება, დაუპირისპიროთ ერთმანეთს. მაგ.: ზამთარი დაღვა. ვისწავლე აკაკის „ზამთარი“. გამოირკვა, რომ პირველი **ზამთარი** ჩვეულებრივს ზამთარს, წლის ერთ-ერთ დროს გულისხმობს, მეორე **ზამთარი** კა წარმოადგენს ლექსის სახელწოდებას. მაშასადამე, იგი პირდაპირი მნიშვნელობით არ ყოფილა ნახმარი. ეს არაპირდაპირი

მნიშვნელობა წერაში ბრჭყალივით აღინიშნება. ამგვარად, მეორე წინადადება ასე დაიწერება: ვისწავლე აკაკის „ზამთარი“ და მის და ნიშნულებას, ვასწავლით სარჩევის გამოყენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კლასგარეშე წიგნის კითხვას. მასწავლებელი ეხმარება მოწაფეებს საკითხავი წიგნების შერჩევაში, წაკითხულის გაგებასა და გარჩევაში; ნაწარმოების გარჩევას კი აწყობს კლასში.

#### IV კ ლ ა ს ი

მეოთხე კლასი წინა კლასებში განხალული საკითხების განმეორებით იწყებს მუშაობას გრამატიკასა და მართლწერაში. აქამდის მოწაფემ იცოდა წინადადება, მისი წევრები მნიშვნელობისა და დანიშნულების მხრივ (ქვემდებარე, შემასმენელი და სხვ.) და წინადადების სახეები: სრული და არასრული, გავრცობილი და გაუვრცობელი.

ახლა საჭიროა გავაცნოთ მარტივი და რთული წინადადება<sup>1</sup> (შეპირისპირების გზით), მძიმის დასმის წესები რთულ წინადადებაში. ამაზე საკმაოდ ვარჯიშობის შემდეგ ვაცნობთ ქვემდებარისა და შემასმენლის ცვლას. პირველად ვასწავლით ბოლოთანხმოვნიან სახელთა ცვლას (ბრუნებას) წინადადებაში; მაგ.:

პიონერი სკოლაში დადის.

პიონერმა კარგად ისწავლა გაკვეთილა.

პიონერს სხვებიც ბაძავენ ბეჯითობაში და ა. შ.

პიონერი იცვლება (იბრუნება) სხვადასხვა სიტყვასთან კავშირში. ერთმანეთის ქვეშ მოწერილი ფორმების მიხედვით (პიონერი, პიონერმა და სხვ.) ადვილად გამოვყოფთ ფუძესა და ბრუნვათა ბოლოსართებს. ამის შესწავლის შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ მართლწერაზე: 1. თუ ფუძის ბოლოს მ გვაქვს, მოთხრობითში ვწერთ ორ მ-ს (ურემმა); 2. თუ ფუძის ბოლოს ხ არის, მიცემითში ორი ხ გვქვნება (ფასს); 3. ვითარებითში იწერება დ და სხვ. ამავე სახელს ვაბრუნებთ ებ დაბოლოებიან მრავლობითში და ვუჩვენებთ მსგავსებასა და განსხვავებას ბოლოთანხმოვნიან სახელთან ბრუნებისას მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში.

ამის დაძლევის შემდეგ ვაცნობთ -ში, -ზე, -თან თანდებულებიან სახელთა მართლწერის წესებს: 1. -ში-თი დასრულებულ სახელს -ში

<sup>1</sup> რთული წინადადება მე-4 კლასში გამოყენებულია მარტივი წინადადების შესაპირისპირებლად, მარტივი წინადადების გასაგებად; ამიტომ იგი აქ ძალიან ზოგადად ისწავლება.

თანდებული თუ დაერთო, ორი შ წარმოითქმის და დაიწერება (მაგ., შიშში); 2. -ზ'თი დასრულებული სახელიც -ზე თანდებულის დართვისას ორი ზ'თი დაიწერება (მაგ., ხაზზე, თევზზე); 3. ბოლოთანხმოვნიანი სახელი -თან თანდებულის დართვისას თ'თი იხმარება (მაგ., ერთთან).

შემდეგ ვარკვევთ მარტივი და რთული სიტყვების შედგენილობას, ვასწავლით რთული სიტყვების მართლწერას, დედისის თავის ადგილზე გამოყენებას და შემოკლებულ სიტყვათა მართლწერას.

შემასმენლის ცვლის გასაცნობად უმჯობესია პირველად ავილოთ ერთპირიანი ზმნა, როგორცაა: მუშაობს, თამაშობს, ცელქობს, ცხოვრობს, იბრძვის და სხვა, და ვაუღლოთ მხოლოდობითი რიცხვის ყველა პირში, მაგ.:

მე	ვ	მუშაობ
შენ		მუშაობ
ის (ძმა)		მუშაობ ს

მოწაფეებმა იციან, რომ ვმუშაობ, მუშაობ მოქმედების გამოხატველი სიტყვაა, ახლა კი ერთმანეთთან შედარებით გაარკვევენ, რომ მე—პირველი პირი—მოლაპარაკე პირია და მისი ნიშანი მოქმედების გამოხატველ სიტყვაში არის ვ, შენ—მეორე პირის სახელია და მეორე პირი ისაა, ვისაც ვლაპარაკებით და მას ზმნაში ნიშანი არა აქვს; ის (ძმა) ის პირია, ვისზედაც ვლაპარაკობთ და მისი მაჩვენებელია ბოლოსართი ს, ამგვარად; სიტყვა „მუშაობს“ იცვლება პირების მიხედვით. დასკვნა ასეთი იქნება: გვაქვს სამი პირი: პირველი, მეორე და მესამე. მოქმედების გამოხატველი სიტყვა, რომელიც იცვლება პირების მიხედვით, არის ზმნა. ახლა შეგვიძლია დავაკვირდეთ პირის ნიშნების ადგილმდებარეობას. პირველი პირის ნიშანი ვ თავშია მოქცეული; ეს არის თავსართი (ტერმინს მასწავლებელი აძლევს); მესამე პირის ნიშანი ს ბოლოშია წარმოდგენილი; ეს ბოლოსართია; მეორე პირს კი ნიშანი არ გააჩნია ამ მაგალითში: დარჩა პირის ნიშნების გარეშე მუშაობ. ამასთან არის დაკავშირებული მნიშვნელობა: ეს გამოხატავს მოქმედებას. მუშაობ იქნება ზმნის ფუძე.

ამის შემდეგ გადავალთ ზმნის უღლებაზე მრავლობით რიცხვში:

ჩვენ	ვ	მუშაობ	თ	შეადარე	მს. რიცხვი:	მე	ვ	მუშაობ
თქვენ		მუშაობ	თ			შენ		მუშაობ
ისინი		მუშაობ	ენ			ის		მუშაობ ს

მრავლობითი რიცხვის ნათელსაყოფად კარგია მისი ფორმების შედარება მხოლოობითთან. მრავლობითი რიცხვის I და II პირი განსხვავებულია მხოლოობითისაგან -თ ბოლოსართით, ხოლო მესამე პირი -ენ ბოლოსართით (მხოლოობითში წარმოდგენილი III პირის ნიშანი -ს არა ჩანს). დასკვნა ასეთია: პირველი და მეორე პირის მრავლობითობას გამოხატავს თ, ხოლო მესამე პირისას—ენ. შემდეგ ვაუღლებთ ყველა პირში ზმნას ვკივი და შევადარებთ ვმუშაობ ზმნას, დავინახავთ, რომ ვკივი ზმნა მრავლობითი რიცხვის მესამე პირში არის კივიან. მაშასადამე, მესამე პირის მრავლობითობას უჩვენებს აგრეთვე -ან.

ამ ცოდნას გამოვიყენებთ პრაქტიკაში, სახელდობრ: 1. თუ ზმნა პირველ პირშია, მისი ნიშანი ვ ყოველთვის იხმარება. მაგ.: ვმუშაობ, ვკვი... ვ იწერება მაშინაც, როცა ზმნა იწყება ვ ან უ ბგერით, მაგ.: ვვარდები, ვვარგვარ, ვვარაუდობ... ვუთხარი, ვუამბე და სხვ.; 2. მესამე პირში ზმნას ბოლოსართი -ს არ ეკვეცება; მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: ის არის, ის დგას; 3. მრავლობითი რიცხვის I და II პირის ზმნებში ყოველთვის-თ უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ; მაგ.: ვჩივი... 4. თუ ზმნის თუძის ბოლოს -ი არის, მრავლობითი რიცხვის III პირში ყოველთვის -ან ბოლოსართი უნდა ვიხმაროთ: არიან, მირბიან...

შემდეგ ვაცნობთ ზმნისწინს, ზმნის სამ ძირითად დროს—აწმყოს, წარსულსა (ნამყოს) და მომავალს (მყოფადს) და მათს გამოცნობას კითხვების საშუალებით.

მართლწერის მიზნით საჭიროა გავაცნოთ მიმართვითი სიტყვა, მიმართვითი სიტყვის მძიმით გამოყოფა წინადადების სხვა წევრებისაგან და სხვათა სიტყვა.

აქვე ღრმავდება წიგნის შედგენილობის გაცნობა; მას ემატება გაზეთისა და ჟურნალის შედგენილობის შესწავლა, საქმის ქალღმერთის შედგენა, ფართოედება კლასგარეშე წიგნის კითხვა.

## I კ ლ ა ს ი

### ს ა ა ნ ბ ა ნ ო კ ვ ი რ ი ო ღ ი

I. კითხვა. I. კითხვის დაწყებამდის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება: მოძრავი ასოების, პლაკატებისა და საანბანო წიგნის გაცნობა. 2. წიგნში წასაკითხი სიტყვის გამოყოფა წინადადებიდან, მისი დაყოფა მარცვლებად და ბგერებად (ზეპირად). მისი აწყობა მოძრავი ასოებით. 3. ამავე სიტყვის კითხვა საანბანო წიგ-

წმ. 4. მოთხრობებისა და ლექსების შეგნებული კითხვა და მათი გარჩევა (კითხვებზე პასუხის გაცემა). 5. უცნობი სიტყვების ახსნა.

II. წერა. 1. წერისათვის მომზადება: სწორად ჯდომა, საწერო იარაღის (ფანქრის, კალმისტრის) მომარჯვება; წერისათვის ხელის გავარჯიშება (ხაზვით, ხატვით). 2. ასოთა გადაუბმელად წერა ოთხხაზიან რვეულში (მელნით). 3. სწორი წერა (იხ. სუფთა წერის პროგრამა და „ქართული წერის დედანი“). 4. წერა სახელისა და გვარისა. 5. სიტყვათა და მარტივ წინადადებათა გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან.

III. ზეპირი მეტყველების განვითარება. 1. გამოკითხვა მოწყფეთა სახელის, გვარის, წლოვანებისა და სხვ. მათი მეტყველების გაცნობის მიზნით. 2. სკოლის გარემოს (სასკოლო ოთახის, მისი ინვენტარისა და სხვ.) გაცნობა და მათ სახელწოდებათა დასწავლა. 3. მასწავლებლის საუბარი მოწყფეთათვის ნაცნობ მოვლენებზე და სათანადო მოთხრობა-ლექსების კითხვა. 4. უცნობ სიტყვათა ახსნა. 5. კითხვებზე სრული პასუხის გაცემა. 6. ახალშექმნილ სიტყვა-გამოთქმათა თავ-თავის ადგილას ხმარება. 7. ნაამბობისა და წაკითხულის მოსმენა და მოკლე და დალაგებით გადმოცემა (მოყოლა); ლექსების დასწავლა ზეპირად და წარმოთქმა. მარტივი სურათის აღწერა (კითხვებზე პასუხის გაცემა).

#### ანბანის შემდგომი პერიოდი

I. კითხვა. 1. სწორი, ხმამალალი კითხვა პატარა მოთხრობა-ლექსებისა (სათანადო ინტონაციის დაცვა, ასოთა გამოუტოვებლად კითხვა). 2. ნაწარმოების გარჩევა (უცნობ სიტყვათა ახსნა, კითხვებზე სრული პასუხის გაცემა).

II. წერა. 1. მელნით წერა ხელნაწერი ასოებისა (გადაუბმელად) ოთხხაზიან რვეულში; წერა სუფთად და უშეცდომოდ (ასოთა გამოუტოვებლად). 2. წინადადებათა და პატარა მოთხრობა-ლექსების გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან. 3. დაუმთავრებელი წინადადების შეკვება. 4. კითხვაზე პასუხის გაცემა. 5. დამუშავებული პატარა ტექსტის დაფაზე დაწერა, წაკითხვის შემდეგ დაფარვა ან წაშლა (მთლიანად ან ნაწილობრივ), გახსენება და დაწერა. 6. კარნახით წერა ნაცნობ სიტყვათა და მოკლე წინადადებათა. 7. დასწავლილი პატარა ლექსის ზეპირად დაწერა. 8. დავალებათა ჩაწერა რვეულში 9. დასწავლილი პატარა ამბის მოკლე შინაარსის დაწერა (კითხვების დახმარებით).

III. ზეპირი მეტყველების განვითარება. 1. წაკითხული (ან მოსმენილი) და გარჩეული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მოკ-

ლედ და დალაგებულად (ტექსტში ნახმარ ახალ სიტყვა-გამოთქმითა გამოყენებით). 2. ლექსის ზეპირად დასწავლა და გამომეტყველებით წარმოთქმა. 3. მარტივი სურათისათვის სათაურის გამონახვარათის მიხედვით პატარა მოთხრობის შედგენა.

**IV. გრამატიკა და მართლწერა.** 1. დასრულებული აზრის გამოხატველი ერთეულის—წინადადების გაცნობა (მარტივი თხრობითი წინადადება); ასეთი წინადადების მონახვა წიგნში და გამომეტყველებით წაკითხვა; ასეთი წინადადების ბოლოს წერტილის დასმა; ვარჯიშობა (კითხვების დასმით) მარტივ თხრობით წინადადებათა შედგენასა და წერის დროს წერტილის დასმაში. 2. კითხვითი წინადადების გაცნობა. არაკითხვითსიტყვიანი და კითხვითსიტყვიანი წინადადების წარმოთქმა სათანადო ინტონაციით. ასეთი წინადადების მონახვა წიგნში. კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვითი ნიშნის დასმა. 3. თხრობითი და კითხვითი წინადადებების შედარება ერთიმეორესთან შინაარსისა და წარმოთქმის მიხედვით. სასვენი ნიშნების დასმა თხრობითი და კითხვითი წინადადებების ბოლოს.

## II კ ლ ა ს ი

**I. კითხვა.** 1. ნაწარმოების გამომეტყველებით წაკითხვა. 2. წაკითხული ნაწარმოების შინაარსის ახსნა-გარჩევა და მის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა (ნაწარმოების დაყოფა სურათებად და სურათების დასათაურება, მარტივი გეგმის შედგენა და სხვ.). 3. აზხაცის გაცნობა. 4. გაჩევა ჩქარ და ჩუმ კითხვაში.

**II. წერა.** 1. წერა გადაბმული ასოებით ორხაზიან რვეულში. 2. დაწესებული მასალიდან უცნობ სიტყვათა ამოწერა და ახსნა-განმარტების მიწერა. 3. მოთხრობის სურათებად დაყოფისას სურათებისათვის მონახული სათაურების დაწერა. 4. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა ტექსტის მიხედვით. 5. პატარა ლექსისა და მოთხრობის წიგნიდან გადმოწერა. 6. ნაწარმოების მოკლე შინაარსის დაწერა გეგმის მიხედვით. 7. წერილის წერა ამხანაგისათვის; წერილის დათარიღება (თვისა და რიცხვის დასაწერი ადგილის დასწავლა); მისამართის დაწერა კონვერტზე. 8. მარტივი ანკეტის შევსება. 9. პატარა ლექსის დაწერა ზეპირად. 10. სურათის აღწერა. 11. შემოქმედებითი და თავისუფალი კარნახით წერა. 12. დეფორმირებული ტექსტის აღდგენა. 13. სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვითი და ძახილის ნიშნების, ორწერტილისა და მძიმის) თავ-თავის ადგილას დასმა).

III. სალექსიკონო მუშაობა. 1. ერთგვარ საგანთა დაჯგუფება (ცხოველები, ფრინველები, საკლასო ინვენტარი, სამუშაო იარაღი და სხვა; საგანთა დაჯგუფება ფერის, გემოსა და სხვა ნიშნის მიხედვით. 2. მოპირდაპირე შინაარსის მქონე სიტყვები (დიდი—პატარა, მალალი—დაბალი და სხვა).

IV. ზეპირი მეტყველების განვითარება. 1. დალაგებით გადმოცემა (მოყოლა) რაიმე შემთხვევისა (თავისი ან ამხანაგის ცხოვრებიდან). 2. ნაწარმოების კოლექტიურად გარჩევა (მოწაფეთა მიერ კითხვების დასმა და გავრცობილი წინადადებით პასუხის გაცემა, ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა გეგმის მიხედვით). 3. ლექსების დაზეპირება და გამომეტყველებით წარმოთქმა. 4. მარტივი სურათის აღწერა ზეპირად.

V. გრამატიკა და მართლწერა. პირველ კლასში ნასწავლის განმეორება. 1. ძახილის წინადადება (პირველად: მოწოდებითი და ბრძანებითი წინადადებები); ძახილის ნიშნის დასმა ასეთი წინადადების ბოლოს. 2. შედარება თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებებისა შინაარს-წარმოთქმა-წერის მხრივ. 3. წინადადების წევრი—სიტყვა, სიტყვის შემადგენელი ნაწილი—მარცვალი და მარცვლის შემადგენელი ნაწილი—ბგერა. ბგერის წერიითი ნიშანი—ასო. ხმოვანი და თანხმოვანი. 4. სიტყვის დამარცვლა ჯერ თანხმოვან-დაუჯგუფებელი სიტყვებისა (კა-ცი, მა-გი-და) და შემდეგ შუაში ორ და მეტათანხმოვნაინ სიტყვებისა (წიგ-ნი, ბავ-შვი...) და გადატანა. 5. მძიმის ხმარება ჩამოთვლილ სიტყვათა შორის. 6. ორწერტილის დასმა ჩამოთვლილ სიტყვათა განმარტავადი სიტყვის შემდეგ. 7. წინადადების წევრთა შორის აზრითი კავშირის გასარკვევად კითხვების დასმა (მაგ.: მოწაფე კითხულობს წიგნს. ვინ კითხულობს წიგნს? რას ვერება მოწაფე? რას კითხულობს მოწაფე?); წინადადების გავრცობა, როცა მას რომელიმე სიტყვა აკლია (მოწაფე კითხულობს... რას? მასწავლებელი ასწავლის... ვის? და სხვ.).

### III კ ლ ა ს ი

I. კითხვა. 1. ნაწარმოების მხატვრული კითხვა (სწორი ინტონაციით). 2. წაკითხული ნაწარმოების დამუშავება (უცნობ სიტყვათა და გამოთქმათა გამოყოფა და ახსნა, კითხვებზე ვრცელი პასუხის გაცემა ტექსტის სიტყვებით, მარტივი გეგმის შედგენა, მთავარი მოქმედი პირის გამოყოფა, დედააზრის მონახვა, მხატვრული აღგილების მოძებნა). 3. მოწაფეთა გაჩევა კლასგარეშე კითხვაში (წიგნების შერჩევა, წაკითხული ნაწარმოების გარჩევა და შეფასება; საბავშვო ჟურნალის კოლექტიური კითხვა და გარჩევა).

II. წერა. 1. ცალხაზიან რვეულში გადახმული ასოების სუფთად წერა. 2. მხატვრული ადგილების ამოწერა. 3. ნაწარმოებების შინაარსის თავისუფალი გადმოცემა. 4. ნაწარმოებიდან მთავარი საკვანძოს გამოყოფა, დამუშავება და დაწერა. 5. ლექსის ზეპირად დაწერა. 6. თავისუფალი კარნახით წერა. 7. შემოქმედებითი კარნახი, 8. რაიმე მოვლენის აღწერა და დაწერა. 9. სურათების აღწერა. 10. სასვენი ნიშნების თავ თავის ადგილას დასმა.

III. სალექსიკონო მუშაობა. 1. გარეგნულად ნსგავსი, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვების ამოცნობა წინადადებაში (მაგ.: ბარი და თოხი — მთა და ბარი; ხერხი ვიყიდე და ხერხი სჯობია ლონესა). 2. მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები. 3. შედარება. შედარებათა მონახვა ტექსტში.

IV. ზეპირი მეტყველების განვითარება. 1. მარტივი გეგმის მიხედვით ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა. 2. მხატვრული ადგილის გამომეტყველებით წარმოთქმა. 3. კლასგარეშე წაკითხული ნაწარმოების შინაარსის თავისუფალი გადმოცემა და შეფასება. 4. რაიმე მოვლენის ან სურათის აღწერა.

V. გრამატიკა და მართლწერა. 1. მეორე კლასში გავლილი მასალის განმეორება. 2. მარტივი წინადადების წვერთა დაჯგუფება მნიშვნელობის მიხედვით: საგნის აღმნიშვნელი სიტყვა — არსებითი სახელი, თვისების აღმნიშვნელი — ზედსართავი სახელი, რაოდენობისა — რიცხვითი სახელი, არსებითი სახელის მაგიერი (ნაცვალი) სიტყვა — ნაცვალსახელი, მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა — ზმნა; კავშირი, ზმნიზედა. მათი გამოცნობა კითხვების საშუალებით. ვინ და რა კითხვების მიხედვით საგნის აღმნიშვნელ სიტყვათა დაჯგუფება, რიგითი რიცხვითი სახელის მართლწერა და სხვა. 3. წინადადების წვერები დანიშნულების მხრივ: ქვემდებარე, შემასმენელი, მეორეხარისხოვანი წვერები. 4. მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი. 5. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები: კაცი მოდის, კაცები მოდიან, მაგრამ: ტყე მოჩანს, ტყეები მოჩანს. 6. სრული და არასრული წინადადება. 7. გაუგრძობელი და გავრცობილი წინადადება. 8. ბრჭყალებში ჩასმა ჟურნალ-გაზეთების, მოთხრობა-ლექსებისა და სხვა სახელწოდებებისა.

VI. წიგნზე მუშაობა. წიგნის გაცნობა (წიგნის გარეკანი და პირველი გვერდი: ავტორი, წიგნის სახელწოდება, მერამდენე და ვისი გამოცემაა, გამოცემის დრო და ადგილი; სარჩევი. ამათი მნიშვნელობის გარკვევა მოკლედ). ნაწარმოებთა სათაურები. ნუმერაცია.



I. კითხვა. 1. გამომეტყველებითი კითხვა ნაწარმოებისა. 2. ნაწარმოების ვრცლად გარჩევა: უცნობ სიტყვათა ახსნა; მთავარ მოქმედებებში პირთა დახასიათება; დედააზრის გამოყენება და მისი დასაბუთება; ნაწარმოების რომელიმე საკითხის განსახილველად სათანადო ადგილების (ციტატების) ამოღება. 3. კლასგარეშე კითხვა: ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა წიგნის წაკითხვა და გარჩევა; საბავშვო ჟურნალის კოლექტიური კითხვა და გარჩევა.

II. წერა. 1. ნაწარმოების გარჩევისას გამოყოფილი საკითხის დამუშავება და დაწერა. 2. მოქმედ პირთა თავგადასავალი. 3. წაკითხული შინაარსის გადმოცემა. 4. თავისუფალი და შემოქმედებითი კარნახით წერა. 5. კედლის გაზეთში მონაწილეობა. 6. საქმის ქაღალდების წერა. 7. სასვენი ნიშნების თავ-თავის ადგილას დასმა.

III. ზეპირი მეთყველების განვითარება. 1. ნაწარმოების შინაარსის მოყოლა. 2. ნაწარმოების მიხედვით ძირითადი საკითხის ვრცლად გადმოცემა. 3. მოთხრობის გაგრძელება ან შეკვეცა.

IV. გრამატიკა და მართლწერა. 1. მესამე კლასში გავლილი მასალის განმეორება. 2. მარტივი წინადადება. 3. მარტივი და რთული წინადადება. 4. კავშირი რთულ წინადადებაში; მძიმის დასმა (როცა და კავშირი არ არის). 5. წინადადების წევრთა ცვლა. 6. არსებითი სახელის ბრუნება მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში. 7. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშანი (პირველად ვაცნობთ ბოლო-თანხმოვნისა არაკუმშვადი სახელის ბრუნებას). 8. სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები. 9. -ში, -ზე, -თან თანდებულნი სახელები და მათი მართლწერა. 10. მარტივი და რთული სიტყვები. რთული სიტყვების მართლწერა; დეფისის ხმარება რთულ სიტყვებში. 11. შემოკლებული სიტყვები და მათი მართლწერა. 12. ზმნის ცვლა პირსა და რიცხვში. 13. ზმნის ფუძე, თავსართი და ბოლოსართი. 14. ზმნის უღლებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები. 15. ზმნისწინი. 16. ზმნის ძირითადი დროები. დროთა გამოცნობა კითხვების საშუალებით 17. მიმართვითი სიტყვა; მიმართვითი სიტყვის გამოყოფა მძიმით. 18. სხვათა სიტყვის მართლწერა.

V. ჟურნალ-გაზეთზე მუშაობა. 1. გაზეთის გაცნობა: სახელწოდება, ვისი ორგანოა, გამოცემის დრო (წელი, თვე და რიცხვი); მასალის განაწილება (მეთაური, დეპეშები, მოხსენებები, წერილები, ქრონიკა, განცხადებები და სხვა). 2. კედლის გაზეთი (სახელწოდება, გამოშვების დრო: წელი, თვე და რიცხვი; მასალა: მეთაური,

წერილები და შენიშვნები სკოლის ყოფა-ცხოვრებიდან, ქრონიკა და სხვ.). 3. საბავშვო ჟურნალის გაცნობა.

IV. საქმის ქალაქის გაცნობა. მარტივი ანკეტის შევსება, პეშის, განცხადების, ხელწერილის, მინდობილობის დაწერა.

## სუფთა წერა

### ბანმარტმბითი ბარათი

წერის ტექნიკის დასაუფლებლად საჭიროა ძირითადი მომენტების გაცნობა და ჩვევად ქცევა. ესაა: სწორად ჯდომა, თითებისა და ხელის საწერად გავარჯიშება, საწერი იარაღის მომარჯვება და ასოთა ელემენტების საფუძვლიანი გაცნობა. ლამაზი დაწერილობის შესამუშავებლად კი ზემოაღნიშნულის გარდა აუცილებელია: 1. ასოთა სწორად გამოყვანა (ხაზზევითა და ხაზქვევითა ასოების სიმეტრიის დაცვა, პარალელური ხაზების წესიერი გავლება, ზომიერი დანაქერი) და 2. ასოთა დაცილება თანაბარ მანძილზე.

ლამაზი და სწორი დაწერილობის გამომუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მიმდინარე წლიდან სუფთა წერის გაკვეთილები შემოღებულია III კლასშიც კვირაში ორი საათის რაოდენობით. ეს დრო უნდა მოხმარდეს წინაკლასებში მიღებულ ცოდნა-ჩვევათა გაღრმავება-განმტკიცებას.

### წერის სწავლების წესები

წერის დაწყებამდის მასწავლებელი აცნობს მოწაფეებს ელემენტარულ წესებს, როგორცაა:

1. **სწორად ჯდომა.** ტანი გამართულია, მკერდი არ ებჯინება მაგიდის წინა კიდეს (იგი დაშორებულია მაგიდას 5 სანტიმეტრით), ფეხი დგას იატაკზე ან მაგიდის საფეხურზე მთელი ტერფით, თავი ოდნავ წაბრილია წინ ისე, რომ თვალსა და კალამს შორის იყოს 30-35 სანტ. მანძილი (თავი არ უნდა გადავხაროთ მარცხნ-ვ ან მარჯვნივ). ნიდაყვი (განსაკუთრებით მარცხენა) ოდნავ გადაცილებულია მაგიდის კიდეს.

2. **საწერი იარაღის მომარჯვება.** კალმისტარი გვიჭირავს მარჯვენა ხელის სამ თითში: სალოკი (საჩვენებელი თითი) აძევს კალმისტარს ზევით, ცერი იჭერს მას მარცხნივ, ხოლო შუათითი—მარჯვნივ (ამოდებულია ქვეშ). სამივე თითი ოდნავ მოხრილია, ორი თითი (უსახელო და ნეკიც) მოხრილია. ესენი დასაყრდენია ხელისა

(მტევნისა), დადებულია ქალღმერთი და თავისუფლად ცურავენ მასზე. კალმისტრის (ფანქრის) ბოლო უაირისპირდება მარჯვენა მხარეს. რვეული ძვეს მკერდის პირდაპირ ოდნავ წახრილი (მარჯვენა კუთხე აწეულია). მარცხენა ხელის რამდენიმე თითი აძვეს რვეულს იქერს მას.

3. საწერი მასალა და იარაღი. ფანქარი, კალმისტარი, კალამი, მელანი, რვეული (ოთხხაზიანი, უჯრედიანი, ორხაზიანი, ცალხაზიანი), საშრობი ქალღმერთი. ფანქარი და კალმისტარი არ უნდა იყოს მსხვილი. ფანქარსა და უჯრედიან (არითმეტიკის) რვეულს ვხმარობთ ხატვა-ხაზვის დროს ხელის გასავარჯიშებლად, ხოლო კალამსა და ოთხხაზიან რვეულს—პირველ კლასში, ორხაზიანს—მეორე კლასში, ცალხაზიანს კი—შემდგომ კლასებში წერის დროს. ფანქრით წერა არაა მისაღები. საშრობი ქალღმერთი ან უბრალო ქალღმერთი ხელსა ამოდებული, რომ რვეული არ დაისვაროს.

4. ზომიერი სინათლე ეცემა მარცხნიდან.

### წინასწარი ვარჯიშობა

წერის სწავლების დაწყებამდის საჭიროა წინასწარი ვარჯიშობა. უკანასკნელისათვის მივმართავთ ხაზვა-ხატვას. მასალად ვხმარობთ ფანქარს, უჯრედიან (არითმეტიკის) რვეულს და გეომეტრიული ფიგურების (სამკუთხედის, ოთხკუთხედის), ხილის, ფოთლისა და სხვათა თარგებს.

1. მოწაფე ავლებს ამა თუ იმ თარგს ფანქარს, შემდეგ კი ცდილობს იგივე ფიგურა გამოიყვანოს უთარგოდ. ფიგურებს აფერადებს.

2. ფანქრით გაჰყავს პარალელური ხაზები; სწორ ხაზებს უკეთებს რკალებს თავში, ბოლოში; შემოხაზავს ნახევაროვლებს, წრეებს, გაჰყავს რკალაქნილი ხაზები და ხვ.

3. ხატავს მისთვის ნაცნობ საგნებს: სახლს, ხეს, ფოთოლს, ცხოველს და სხვ. სურათის ამა თუ იმ ნაწილს შტრიხავს.

4. მასწავლებელი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს და თვალყური ადევნოს მოწაფეთა მუშაობას, წერის წესების დაცვას; ყოველი დეფექტი დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორობინოს. ხელის საკმაოდ გაგვარჯიშების შემდეგ უნდა ვასწავლოთ:

### ასოსა და სიტყვის წერა კლასში

პირველ კლასში მასწავლებელი წერს დათვაზვ უსასწავლ ასოს და დაწვრილებით უჩვენებს მის მოხაზულობას: სად იწყება და სად

თავდება ასო, სად არის სწორი ხაზი და რომელი დანატყობი. შემდეგ წერს ამ ახალშესწავლილი ასოს შემცველ სიტყვას და აღნიშნავს, რომელია ხაზზევითა და ხაზქვევითა ასოები, როგორი უნდა იყოს ასოთა შორის და სხვ. ახალშესწავლილ ასოს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ხოლო ნაცნობი ასოების მოხაზულობის ახსნა მეორდება.

საწერი ნიმუშები ამოიღება ანბანის წიგნიდან და წერის დენიდან. პირველი საწერი სიტყვა ორასოიანია, შემდეგ კი სამ და მეტასოიანი. ყოველი ნიმუში შეიცავს ერთ ახალ ასოს.

რამდენიმე გაკვეთილზე ვწერთ თითო-თითო სიტყვას, შემდეგ კი ორ, სამ და მეტსიტყვიან წანადადებას.

ერთი და იგივე მასალა შეიძლება დაიწეროს 2—4 სტრიქონზე. ცალკე ასოს წერენ რამდენჯერმე (არა უმეტეს ერთი-ორი სტრიქონისა).

ანბანის დაძლევის შემდეგ წერენ ან გადაიწერენ პატარა მოთხრობას ან ლექსს.

პირველ კლასში შემოღებულია ოთხხაზიანი რვეული. საანბანო პერიოდში ასოები იწერება ბეჭდურად, შემდეგ — ხელნაწერად, ხოლო მეორე კლასში იწყება გადაბმული წერა ორხაზიან რვეულში. აქაც მასწავლებელი უჩვენებს მოწაფეებს გადაბმის წესებს: 1. რომელი ასო გადაბმის მომდევნო ასოს და რომელი არა; 2. გადასაბმელი ხაზი უნდა იყოს წვრილი და მიიმართებოდეს ხაზქვევითა ასოს ხაზის პარალელურად (მაგ.: ეს, ვი და სხვ.); 3. გადაბმისას ყოველ ასოს უნდა შერჩეს თავისი სახე და არ მიიჩქმალოს ის ასოთა შორის; 4. არსად არ უნდა ვიხმაროთ ზედმეტი მომრგვალება, ხვეულები და სხვ.; 5. ხაზზევითა თუ ხაზქვევითა ასოების ბოლო ერთი სიმაღლისა უნდა იყოს.

პირველ ორ კლასში მიღებული ჩვევა გაჰყვება შემდეგს კლასებშიც. მოწაფე ყველგან უნდა ცდილობდეს წეროს დაკვირვებით, სუფთად, ასოები გამოიყვანოს სწორი, წაუხრელი.

პირველ კლასში წერა გრძელდება 5—15 წუთს, მეორე კლასში კი — 10—20 წუთს.

## I კლასი

1. საწერად სწორი ჯდომა: ტანის, თავის, ხელების, თითებისა და ფეხის მოძარჯვება წერისათვის.

2. საწერი იარაღის წესიერი გამოყენება: ფანქრისა და კალმის-

ტრის ხელში დაჭერა, რვეულის წახრილად დადება და მელნისა და საშრობი ქაღალდის მოხმარა.

3. წერისათვის წინასწარი ვარჯიშობა: თარგისათვის ფენიკის შემოვლება და მიღებული ფიგურის გაფერადება, პარალელური ზეობის გაყვანა, ნახევაროვალებისა და წრეების შემოხაზვა, ტეხილი ხაზების გაყვანა; ნაცნობი საგნების ხაზვა და შტრიხვა.

4. ასოთა გაცნობა: ხაზზევითა და ხაზქვევითა ასოები. ხაზებშუა ასოები. თავში ან ბოლოში მომრგვალებული ასოები, დანაქერის (нажим) დასწავლა.

5. სწორი წერა: ასოთა თანაბარ მანძილზე დაშორება. ერთგვარი სიმაღლის დაცვა (მ, ნ, ბ, ზ... კ, ლ, ვ, გ... ქ, ჭ... ა, ი, ო, თ); მთავრული ასოების უხმარებლობა ქართულში.

6. წერა სუფთად (მელნის დაუღვრელად, ასოთა წაუშლელად, ჩაუმატებლად).

## II კლასი

1. ასოთა გადაბმის წესების გაცნობა: გადასაბმელი და გადაუბმელი ასოების დასწავლა, გადასაბმელი წვრილი ხაზის სწორად გავლება, ასოთა სიმაღლის დაცვა.

2. წერაში ინდივიდუალურ გადახრათა გამოსწორება.

3. წერის წესების განმტკიცება.

## III კლასი

მესამე კლასში ტარდება ვარჯიში წინაკლასებში მიღებული ცოდნა-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის.

## ლიტერატურა

### განმარტებითი ბარათი

მხატვრული ნაწარმოების კითხვამ და გარჩევამ, ლექსებისა და მხატვრული პროზიდან ნაწყვეტების ზეპირად დასწავლამ, გარჩეული ლიტერატურული მასალის შინაარსის თხრობამ უნდა გაამდიდროს ბავშვის ცნობიერება, გააფართოოს მისი წარმოდგენა სინამდვილეზე, ჩვენს წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებაზე, ხელი შეუწყოს ბავშვის გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, კითხვის ტექნიკისა და სწორი მეტყველების განვითარებას.

III და IV კლასის მოწაფეებმა უნდა შესძლონ ქართული ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალების გაგება, მხატვრული ნაწარმოების (მოთხრობა, ლექსი, იგავ-არაკი, ზღაპარი) გარჩევა და მხატვრული ადგილების გამოყოფა.

პროგრამაში დასახელებული ყველა ლექსი საზეპიროა.

დედის დარიგება, ლექსი გ. ჭალადიდელისა.  
ყმაწვილები ჭალაში, გადმოკ. სახელმძღვ. ავტორთა მიერ „ბუნების კარიდან“.

ჰიპნი სამშობლოს, ლექსი (ნაწყვეტი) ა. მაშაშვილისა.  
არითმეტიკული ამოცანების ამოხსნის ცოდნას, კერძოდ იმ ამოცანებისა, რომლებიც ამოხსნება განსაკუთრებული ხერხებით, დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. მოსწავლე ამ ამოცანებთან გაცნობის დროს იძენს მათემატიკური ხერხების ცოდნას და მათი გამოყენების უნარს, მას უმუშავდება მსჯელობის უნარი, ვითარდება საზრიანობა. ამრიგად, სწორედ აქ ეყრება საფუძველი მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარებას.

მოსწავლეები, რომლებმაც არითმეტიკის შესწავლისას შეიძინეს ასეთი ამოცანების ამოხსნის სათანადო ჩვევები, ადვილად ახერხებენ უფრო სერიოზული და მათემატიკურად რთული ამოცანების ამოხსნას.

ამოცანების შესადგენად მრავალფეროვანი მასალა უნდა იქნას გამოყენებული და უპირველესად ისეთი დარგებიდან, რომლებიც მოსწავლეებს უფრო ხშირად ხვდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელთა შორისაც დამოკიდებულება მარტივია. მაგალითად, დამოკიდებულება ფასსა, ღირებულებასა და რაოდენობას შორის; სიჩქარესა, მანძილსა და დროს შორის; გამომუშავების ნორმასა, მუშაობის ხანგრძლივობასა და პროდუქციას შორის; ხაზოვან ზომებსა და ფართობს შორის ან ხაზოვან ზომებსა და მოცულობას შორის; მოვლენის დასაწყისსა, დასასრულსა და ხანგრძლივობას შორის. ამ დამოკიდებულებათა გამორკვევა უნდა ხდებოდეს, არა რაიმე ფორმულებისა და წესების დასწავლით, არამედ ამოცანების ამოხსნაზე ხანგრძლივი ვარჯიშობისა და ფაქტების სათანადო განმარტების გზით.

ამასთან ერთად, უნდა ვიცოდეთ, რომ ამოცანის შინაარსი აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც სათანადოდ იყოს გაშართული.

ამოცანების გაფორმების დროს მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ: I კლასში, წლის ბოლოს:

ა) ამოცანების ამოხსნის სწორად ჩაწერა მოქმედებათა, მონა-

ცემებისა და შედეგების დასახელებით და ბ) შათი ახსნა მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით.

II კლასში, წლის ბოლოს:

ა) ამოცანის პირობის მოკლედ ჩაწერა,

ბ) კითხვის ზეპირი დასმა და მისი ამოხსნისათვის საჭირო მოქმედების დასახელება; დასახელებულ კომპონენტებზე წარმოებულ მოქმედების სწორი ჩაწერა,

გ) ამოცანის ამოხსნის შემდეგ ამოხსნის თანამიმდევრული მსვლელობის სიტყვიერი გადმოცემა (მასწავლებლის დამხმარე კითხვების გარეშე).

შე-3 კლასში, წლის ბოლოს:

ა) ამოცანის ამოხსნის გეგმის ჩამოყალიბება დამოუკიდებლად.

ბ) ამოცანის ამოხსნის ჩაწერა კითხვების წერილობითი ფორმულირებით.

4. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზეპირი ანგარიშის ჩვევის განვითარებას.

ზეპირ ანგარიშს დიდი გამოყენება აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზეპირი ანგარიში მოსწავლეს უფითარებს სწრაფი მოსაზრების უნარს, აჩვევს ბავშვს გამოთვლის იმ ხერხის გამოყენებას, რომელიც ხელსაყრელია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამას გარდა, ზეპირი ანგარიში აადვილებს წერით გამოანგარიშებას (მაგალითად, მრავალნიშნა რიცხვების გაყოფის დროს).

სწავლების პირველი ერთნახევარი წელი, სანამ მოქმედებები პატარა რიცხვებზე სწარმოებს და შეკრებისა და გამოკლების ტაბულების დაუფლება დამთავრებული არაა, მოსწავლეები სარგებლობენ გამოთვლის ზეპირი ხერხებით. მაგრამ მეორე კლასში სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, 1000 შესწავლაზე, გადავდივართ და რიცხვებზე მუშაობის ძირითადი ფორმა წერითი გამოანგარიშება ხდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზეპირ ანგარიშს ყურადღება არ მივაქციოთ. ზეპირი და სწრაფი გამოანგარიშების ჩვევის გამომუშავება - განმტკიცება უნდა გრძელდებოდეს არითმეტიკის კურსის შესწავლის მთელ პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ზეპირი მოქმედების სწრაფად შესრულებას 100-ის ფარგლებში და ზეპირ გამოთვლას დიდ რიცხვებზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებები დაიყვანება 100-ის ფარგალში (მაგალითად:  $120 \times 3 = 12$  ათეულს  $\times 3$ ;  $480 : 6 = 48$  ათეულს:  $6$ ;  $25000 - 16000 = 25$  ათასეულს  $- 16$  ათასეული და სხვ.).



ზეპირი ანგარიშის სწავლების დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ ზეპირი ანგარიშის მხოლოდ გამარტივებული ხერხებით (მაგალითად, გამრავლება 25-ზე, 50-ზე, და ა. შ.) არამედ საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად ვევარჯიშოთ მოსწავლეები ზეპირი გამოთვლის ზოგად ხერხებზე. ახალი ტიპის ამოცანის გაცნობის დროს საჭიროა ეს ტიპი განვმარტოთ მცირერიცხვებიან ზეპირ ამოცანაზე; ახალი მათემატიკური ცნებისა და წესის განმარტების დროსაც სასარგებლოა მოვიშველიოთ ისეთი ამოცანები და მაგალითები, რომლებიც ამოიხსნება ზეპირად.

5. მტკიცე მათემატიკური ჩვევების გამომუშავებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მტკიცე ჩვევის გამომუშავება ვარჯიშის გარეშე შეუძლებელია. არითმეტიკის გაკვეთილზე სისტემატურად უნდა ვატარებდეთ სხვადასხვა სახის მათემატიკურ ვარჯიშს: ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მტკიცე ჩვევის გამომუშავება ვარჯიშის გარეშე შეუძლებელია. რიცხვითი მაგალითებისა და სხვადასხვა ამოცანების ამოხსნა, პრაქტიკული მუშაობის ჩატარება, დაკავშირებული გაზომვასა, აწონვასა და ხაზვასთან და სხვ. სავარჯიშოებს წინ უნდა უძღოდეს მასწავლებლის საფუძვლიანი ახსნა-განმარტება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად ათვისებას. სავარჯიშოები ამოცანების ამოხსნაზე და რიცხვით მაგალითებზე მოსწავლეებს უნდა ეძლეოდეთ არა მარტო კლასში, არამედ საშინაო დავალების სახითაც. მტკიცე ჩვევების გამომუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა დაზოუკიდებელ წერითი სამუშაოებს, ამიტომ, მათაც საპატიო ადგილი უნდა ეთმობოდეს.

6. მუშაობა განყენებული მათემატიკური ცნებების გამომუშავების დარგში უნდა დაეფუძნოს თვალსაჩინოებას. არითმეტიკის გაკვეთილებზე თვალსაჩინო ხელსაწყოებს მასწავლებელი მუდმივად უნდა იყენებდეს: არითმეტიკული ყუთი, საკლასო საანგარიშე, მეტრული საზომების (მეტრი, ლიტრი, გრამი და სხვ.) ნიმუშები, გეომეტრიული ნაკვთები, გეომეტრიული სხეულების მოდელები, გამზომი და სახაზავი ხელსაწყოები (ციკრული, კუთხედი, სახაზავი და სხვ.), მიწის საზომი უმარტივესი ხელსაწყოები (ეკერი, რულეტი და სხვ.) აუცილებლად უნდა გააჩნდეს სკოლას.

ამასთან, საჭიროა მოსწავლეები შევაჩვიოთ ზოგიერთი თვალსაჩინო ხელსაწყოთა თვითკეთებას (მაგალითად, თვლაში—თვითნაკეთი აბაკი, ჩხირები და სხვ., გეომეტრიაში—გეომეტრიული ნაკვთების, სხეულების მოდელები და სხვ., გაზომვაში—საზომების

ნიმუშები და სხვ.). არითმეტიკის სწავლების გათვალისწინების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გრაფიკულ ილუსტრაციასაც (მაგალითად: კვადრატების, მართკუთხედების კუბისა და პარალელებიპედის ნახაზები—გამრავლების ტაბულის შესწავლის დროს), არითმეტიკის სწავლებაში დიდი მრავალფეროვანება შეაქვს აგრეთვე მათემატიკურ თამაშს (ლოტო, დომინო და სხვ.), რასაც სათანადო შემთხვევაში უნდა ვიყენებდეთ გაკვეთილზე 1 და მე-2 კლასში და სკოლის გარეშე მეცადინეობის დროს დაწყებითი სკოლის უფროს კლასებშიაც.

7. პროგრამული მასალა განაწილებულია სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით. ეს განაწილება საორიენტაციო პროგრამაში, ყოველ მეოთხედში მოცემულია მხოლოდ ახალი მასალა. მაგრამ კურსის გავლის დროს, გავლილი მასალის საუკეთესოდ ათვისების თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა ვაწარმოებდეთ გამეორებას და განმტკიცებას. ყოველი მასალის დამუშავება მეოთხედის ბოლოს და წლის დასასრულს უნდა მთავრდებოდეს ამ მასალის გამეორებითა და აღრიცხვით, რისთვისაც ყოველი მეოთხედის ბოლოს უნდა გავითვალისწინოთ 5—10 საათი.

8. არითმეტიკის სწავლება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ რიცხვი და საზომი ბავშვის ხელში გარემო სინამდვილის შემეცნების იარაღს წარმოადგებდეს. ცოდნა გამოყენებულ უნდა იქნას ბავშვების მიერ სოციალისტური მშენებლობის უფრო ღრმა გააზრებისათვის, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების უნარის გამომუშავებისათვის და სოციალისტური სამშობლოს დაცვის მაღალი შეგნების აღზრდისათვის.

მათემატიკაში აუცილებელია სწორი და ზუსტი მეტყველება, რიგიანი სუფთა წერა და პასუხის-გებლობა გამოანგარიშების შედეგებისათვის. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას, სიზუსტის, მუყაითი შრომისა და ბეჯითობის უნარის აღზრდას, და ამ ამოცანებსაც ვახსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ.

მათემატიკაში მუშაობა უნდა დავუკავშიროთ სხვა სასწავლო დისციპლინებს: ისტორიას, ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, რადგან აღნიშნული დისციპლინები კარგ მასალას იძლევიან ამოცანებისათვის, მათემატიკურ ჩვევათა პრაქტიკული გამოყენებისათვის. მაგრამ ეს კავშირი სხვა სასწავლო დისციპლინებთან ხელოვნური, ნაძალადევი. არ უნდა იყოს იგი ბუნებრივი უნდა იყოს და ყოველთვის იმ წარმოდგენათა და ჩვევათა ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს, რომლებსაც მოსწავლეები დაუფლებულნი არიან შოცემულ მომენტში. კავშირი არავითარ შემთხვევაში არ უნდა არღვევდეს არითმეტიკის კურსის თანამიმდევრობასა და სისტემას.



## მ ე ს ა მ ე კ ლ ა ს ი

### 1-ლი მეოთხედი

შეორე კლასში გავლილი მასალის განმეორება . . . . .	6	საათი
მრგვალი ათეულებზე გამრავლება და გაყოფა 1000 - ისა და 10000- ფარგლებში . . . . .	4	"
მრავალნიშნა რიცხვების ნუმერაცია . . . . .	8	"
მრავალნიშნა რიცხვების შეკრება (ამოცანების ამოხს- ნით) . . . . .	8	"
მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება (ამოცანების ამოხსნით)	10	"
ამოცანების ამოხსნა . . . . .	13	"
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	7	"
<hr/>		
სულ . . . . .	56	საათი.

### მე-2 მეოთხედი

მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე (ამოცანების ამოხსნით) . . . . .	5	საათი
მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება მრავალნიშნა რიცხვზე (ამოცანების ამოხსნით) . . . . .	8	"
მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა (ამო- ცანის ამოხსნით) . . . . .	8	"
მრავალნიშნა რიცხვის გაყოფა მრავალნიშნა რიცხვზე (ამოცანის ამოხსნით) . . . . .	18	"
ტიპური ამოცანების ამოხსნა . . . . .	8	"
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	5	"
<hr/>		
სულ . . . . .	52	საათი

### მე-3 მეოთხედი

ზომათა (სიგრძის, წონისა, და დროისა) შესწავლა, ზომათა დანაწევრება (დაშლა) და გარდაქცევა . . . . .	6	საათი
მეტრულ ზომებში გამოსახულ სახელდებულ რიცხვებზე ოთხი მოქმედების უმარტივესი შემთხვევები . . . . .	18	"
ოთხ მოქმედებაზე ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნა	20	"
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	5	"
<hr/>		
სულ . . . . .	49	საათი

### მე-1 მეოთხედი

ნაწილების გაცნობა და მთელის ერთი და რამდენიმე ნაწილის მონახვაზე ამოცანების ამოხსნა . . . . .	9 საათი
გეომეტრიული მასალა აუცილებელ გავრცელების სამუშაოსთან დაკავშირებით . . . . .	15 "
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	15 "
<hr/>	
სულ . . . . .	39 საათი

### IV კლასი

#### 1-ლი მეოთხედი

ნებისმიერი სიდიდის რიცხვების ნუმერაცია . . . . .	6 საათი
მრავალნიშნა რიცხვების შეკრება (ამოცანის ამოხსნით) . . . . .	4 "
მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება (ამოცანების ამოხს- ნით) . . . . .	6 "
მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება (ამოცანების ამოხს- ნით) . . . . .	9 "
გაყოფა (მაგალითების და ამოცანების ამოხსნით ოთხ მოქმედებაზე) . . . . .	12 საათი
ფრჩხილები და მოქმედებათა თანამიმდევრობა . . . . .	4 "
ამოცანების (ტიპიური) ამოხსნა . . . . .	12 "
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	5 "
<hr/>	
სულ . . . . .	58 საათი

#### მე-2 მეოთხედი

სიგრძისა და წონის ზომები (ტაბულები, დანაწევრება (დაშლა) და გარდაქცევა) . . . . .	3 საათი
შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრება (ამოცა- ნების ამოხსნით) . . . . .	4 "
შედგენილი სახელდებული რიცხვების გამოკლება (ამოცა- ნების ამოხსნით) . . . . .	4 "
შედგენილი სახელდებული რიცხვების გამრავლება (ამო- ცანების ამოხსნით) . . . . .	6 "
შედგენილი სახელდებული რიცხვების გაყოფა (ამოცანე- ბის ამოხსნით) . . . . .	6 "
დროის ზომები (ტაბულები, დანაწევრება, გარდაქცევა და მოქმედებები) . . . . .	8 "
გეომეტრიული მასალა . . . . .	8 "
განმეორება და აღრიცხვა . . . . .	4 "
<hr/>	
სულ . . . . .	43 საათი

**მე-3 მეოთხედი**



ათწილადების ჩაწერა, წაკითხვა და გარდაქმნა. ათწილადების შეკრება და გამოკლება . . . . .	12	"
პროცენტები	5	"
ათწილადის გამრავლება და გაყოფა 10, 100, 1000-ზე . . . . .	2	"
ათწილადის გამრავლება მთელზე (ამოცანების ამოხსნით)	5	"
ათწილადის გაყოფა მთელზე (ამოცანების ამოხსნით)	5	"
ამოცანების ამოხსნა . . . . .	24	"
<hr/>		
სულ . . . . .	53	საათი

**მე-4 მეოთხედი**

ამოცანები დაშვებაზე და მონაცემთა გატოლებაზე, შედგენილი ამოცანების ამოხსნა ყველა განყოფილებაში . . . . .	17	საათი
გავლილი მასალის განმეორება და გამოტდებისათვის მზადება . . . . .	25	"
<hr/>		
სულ . . . . .	42	საათი

**პ რ ო ბ რ ა მ ა**

**I კლასი**

**1-ლი მეოთხედი**

თვლა 10-მდე, რიცხვების შესწავლა 10-ს ფარგალში, ციფრების წაკითხვა და ჩაწერა. შეკრება და გამოკლება 10-ის ფარგალში. მეტრი. მეტრით გაზომვა. ფული (წვრილი) 1, 2, 3, 5, 10 კაპ. ერთმოქმედებიანი ამოცანის ამოხსნა შეკრება-გამოკლებაზე.

**მე-2 მეოთხედი**

თვლა, ზეპირი და წერითი ნუმერაცია 20-ის ფარგალში. შეკრების ცხრილი. კილოგრამი; კილოგრამით აწონა. ლიტრი. ლიტრით გაზომვა. 1—2 მოქმედებიანი ამოცანის ამოხსნა შეკრება-გამოკლების გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაზე (კრძოდ, რიცხვის რამდენიმე ერთეულით შემცირებასა და გადიდებაზე).

**მე-3 მეოთხედი**

გამრავლება და გაყოფა 20-ის ფარგალში. თვლა, ზეპირი და წერითი ნუმერაცია 100-ის ფარგალში. ოთხი არითმეტიკული მოქმედება მრგვალ ათეულებზე 100-ის ფარგალში. ფული (წვრილი) 15 კაპ. 20 კაპ. 1 მან. სანტიმეტრი; სანტიმეტრებით გაზომვა.



1—2 მოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაზე.



### მე-4 მეოთხედი

შეკრება და გამოკლება 100-ის ფარგალში (ყველა შემთხვევა).  
საათი, დღე-ღამე; დროის განსაზღვრა საათით.

1—3 მოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებით.

წლის განმავლობაში გავლილი მასალის განმეორება.

## II კლასი

### 1-ლი მეოთხედი

პირველ კლასში გავლილი მასალის განმეორება.

გამრავლების ტაბულა და ტაბულური გაყოფა.

1—3 მოქმედებიანი ამოცანის ამოხსნა ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებით (კერძოდ, სხვაობით შეფარდებაზე, რიცხვის რამდენჯერმე გადიდებაზე).

### მე-2 მეოთხედი

გამრავლების ტაბულა და ტაბულური გაყოფა (დასასრული).  
გამრავლების გადანაცვლებითი თვისება. არატაბულური გამრავლება და გაყოფა 100-ის ფარგალში.

დროის საზომები: წელიწადი, თვე, მინუტი. თვეების რიცხვი წელიწადში.

თვეების დასახელება თანამიმდევრობით. დღეების რიცხვი თითოეულ თვეში და თითოეულ კვირაში. საათების რაოდენობა დღე-ღამეში და მინუტებისა საათში. დროს ორნაირი აღნიშვნა (დღის ორი საათი—14 საათი).

1—3 მოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებით (კერძოდ, რიცხვის რამდენჯერმე გადიდება-შემცირებაზე, რიცხვის ნაწილის პოვნაზე, ჯერად შედარებაზე).

ამოცანები, რომლებიც ერთეულზე დაყვანის ხერხით ამოიხსნება.

### მე-3 მეოთხედი

არატაბულური გამრავლება და გაყოფა 100-ის ფარგალში (დასასრული).

ზეპირი და წერითი ნუმერაცია 1000-ის ფარგალში.

ზეპირი და წერითი შეკრება და გამოკლება 1000-ის ფარგალში.

სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში.

წონის საზომები: კილოგრამი, გრამი, სიგრძის საზომები: კილომეტრი, მეტრი.

1—4 მოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებით. უმარტივესი ამოცანები ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამისა და სხვაობის მიხედვით.

#### მე-4 მეოთხედი

სამნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე რიცხვზე გამრავლება (ზეპირი და წერიით).

სამნიშნა რიცხვის ერთნიშნაზე გაყოფა (ზეპირი და წერიით). სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში.

1—4 მოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა.

წლის განმავლობაში გავლილი მასალის განმეორება.

### III კლასი

#### 1-ლი მეოთხედი

მეორე კლასში გავლილი მასალის განმეორება.

მრავალნიშნა რიცხვის ზეპირი და წერიით ნუმერაცია (მილიარდების კლასის ჩათვლით) თანრიგები და კლასები.

10-ზე და მრგვალ ათეულებზე წერიით გამრავლება და გაყოფა 1000-ის და 10000-ის ფარგლებში.

მრავალნიშნა რიცხვების შეკრება და გამოკლება. რიცხვების სახელწოდება შეკრების და გამოკლების დროს. ამ მოქმედებათა შედეგების შემოწმება, შეკრება და გამოკლება საანგარიშოზე.

3—4 მოქმედებიანი არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა. ამოცანები, რომლებიც ამოიხსნებიან განსაკუთრებული ხერხებით, მარტივი სამთა წესით, ერთეულზე დაყვანისა და შეფარდების ხერხით.

სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში. შეკრებისა და გამოკლების მარტივი შემთხვევები 1000-ის ფარგალში (380—260; 560—240 და სხვ.).

#### მე-2 მეოთხედი

მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება. მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნა რიცხვზე გამრავლება (ყველა შემთხვევა).

მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა; მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნა რიცხვზე გაყოფა; გამრავლებისა და გაყოფის შედეგების შემოწმება.

3—5 მოქმედებიანი არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა. ამოცანები ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამისა და სხვაობის საშუალებ-

ბით და მათი ჯამითა და შეფარდებით. სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში. გამრავლებისა და გაყოფის უმარტივესი შემთხვევები  $230 \times 3$ ;  $840:4$  და სხვ.).



### მე-3 მეოთხედი

სიგრძის საზომები: მილიმეტრი, სანტიმეტრი, დეციმეტრი, მეტრი, კილომეტრი. წონის საზომები: გრამი, კილოგრამი, ცენტნერი, ტონა. დროის საზომები: სეკუნდი, მინუტი, საათი, დღე-ღამე, თვე, წელიწადი, საუკუნე.

საზომების დაშლა და გარდაქცევა. შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრება და გამოკლება.

3—5 მოქმედებიანი არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა. ამოცანები პრაქტიკულ გაყოფაზე. ამოცანები უცნობის გამოთვლაზე ორი სიდიდის სხვაობის მიხედვით. ამოცანები მოძრაობაზე.

სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში.

### მე-4 მეოთხედი

უმარტივესი წილადები:  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{4}$ ,  $\frac{1}{8}$ ,  $\frac{1}{10}$ . ერთსახელა წილადების შეკრება და გამოკლება.

სწორი ხაზი და მისი მონაკვეთი. სწორი ხაზის მონაკვეთის დახაზვა და გაზომვა.

კუთხეები: მართი, ბლაგვი და მახვილი.

კვადრატი და მართკუთხედი; მათი გვერდები და კუთხეები. კვადრატისა და მართკუთხედის დახაზვა სახაზავითა და კუთხედით. კვადრატული საზომები. არი და ჰექტარი. მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთის ფართობის გაზომვა.

3—5 მოქმედებიანი არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა, ამოცანები რიცხვის ერთი ან რამდენიმე ნაწილის პოვნაზე.

სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში და უმარტივეს შემთხვევაში—1000-ის ფარგალში.

წლის განმავლობაში განვლილი მასალის განმეორება.

## IV კლასი

### 1-ლი მეოთხედი

ნებისმიერი სიდიდის რიცხვების ზეპირი და წერიითი ნუშტრაციისა და მათზე ოთხი არითმეტიკული მოქმედების განმეორება დამოკიდებულება მონაცემებსა და თითოეული მოქმედების შედეგებს შორის.



ჯამის, სხვაობის, ნამრავლისა და განაყოფის ცვლილება, მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით. ფრჩხილები და არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულების თანამიმდევრობა.

ზეპირი ანგარიში 100-ისა და 200-ს ფარგალში.

3—5 მოქმედებიანი არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა. ამოცანები, რომლებიც ამოიხსნება განსაკუთრებული ხერხებით: რიცხვის ნაწილის პოვნაზე, რიცხვების პოვნაზე მათი ჯამითა და სხვაობით, მათი ჯამითა და შეფარდებით, პროპორციულ გაყოფაზე, მოძრაობაზე, ამოცანები ფართობების გამოთვლაზე.

**მე 2 მეოთხედი**

ოთხი არითმეტიკული მოქმედება შედგენილ სახელდებულ რიცხვებზე. ზეპირი ანგარიში: სწრაფი ზეპირი ანგარიში 200-ის ფარგალში; ნამრავლის გამრავლება და გაყოფა რიცხვზე; რიცხვის გამრავლება და გაყოფა ნამრავლზე.

კუბი და მართკუთხა პარალელები. ამ სხეულთა წიწკო, წახნაგი და წვერო. კუბის და მართკუთხა პარალელებების დახაზვა. ამ სხეულების შლილი. კუბური საზომები. კუბის და მართკუთხა პარალელებების მოცულობის გამოანგარიშება.

3—6 მოქმედებიანი სახელდებული რიცხვების შემცვლელი არითმეტიკული ამოცანების და იმ სახის უფრო რთული ამოცანების ამოხსნა, რომლებიც ამოხსნილი იყო პირველ მეოთხედში; ამოცანები რთულ სამთა წესზე.

ამოცანები ფართობთა და მოცულობათა გამოანგარიშებაზე.

**მე-3 მეოთხედი**

ათწილადების (მეათედი, მეასედი და მეათასედი ნაწილები) წაკითხვა და ჩაწერა.

ათწილადების შეკრება და გამოკლება.

პროცენტის ცნება. მრგვალი ასეულებით გამოსახული რიცხვის ერთი და რამდენიმე პროცენტის პოვნა.

ათწილადის გამრავლება და გაყოფა 10, 100, 1000-ზე. ათწილადის გამრავლება მთელზე. ათწილადის გაყოფა მთელზე.

ამოცანების ამოხსნა. ვარჯიში ზეპირ ანგარიშში დანერგვალების, ჯამისა და ნამრავლის გადანაცვლებითი თვისების ხერხების გამოყენებით.

**მე-4 მეოთხედი**

ამოცანები დაშვებაზე და მონაცემთა გატოლებაზე. შედგენილი ამოცანების ამოხსნა ყველა განყოფილებიდან.

გავლილი მასალის განმეორება.

## დაწყებითი სკოლის ახალი სასწავლო გეგმა და პროგრამები

საქართველოს სსრ დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის I-IV კლასები 1945 წლის სექტემბრიდან ახალი სასწავლო გეგმით იმუშავენ. სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტანილი. გეოგრაფიის, ისტორიისა და ბუნებისმეტყველების სწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგნებისა, გათვალისწინებულია მხოლოდ მეოთხე კლასებში, ამ საგნების საათები მესამე კლასში კი მთლიანად ეთმობა დედაენას. გარდა ამისა, ქართული სკოლების მეორე კლასებში გადიდებულია რუსული ენის საათების რაოდენობა: დღემდე იყო 2 საათი, მომავალში იქნება 3 საათი.

ცვლილებები ეხება არითმეტიკასაც. არითმეტიკისათვის გათვალისწინებული საათების რიცხვი ოთხივე კლასში იგივე რჩება, რაც დღემდე იყო, მაგრამ შემცირებული და გამარტივებულია მესამე და მეოთხე კლასის პროგრამები.

სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების დედაზრი იმაში მდგომარეობს, რომ დედაენას დაწყებით სკოლებში, სწავლების ამ გადამწყვეტ საფეხურზე, უფრო მეტი ადგილი დაეთმოს და მისი ნაყოფიერად სწავლებისათვის საჭიროა პირობები შეიქმნეს, ბავშვებმა სრულფასოვნად და ღრმად აითვისონ დაწყებითი სკოლის არითმეტიკის ძირითადი კურსი—მთელ რიცხვებზე მოქმედებანი, მოწესრიგდეს ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების პირველდაწყებითი კურსის სწავლება, საბოლოოდ იქნეს აღმოფხვრილი ის სქემატურობა, რაც ამ საგნების სწავლებას ახასიათებდა დღემდე დაწყებით სკოლებში.

ბავშვის გონების გახსნისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია იგი დედაენას დავაუფლოთ, რადგან დედაენაა სწორედ ის უპირველესი იარაღი, ურომლისოდ შეუძლებელია მეცნიერული ცოდნის შეთვისება. მანამ, სანამ ბავშვს სიტყვებისა და ცნების გარკვეული მარაგი არ შეუძენია, არ გამოუმუშავებია უნარი—ეს სიტყვები და ცნებანი წინადადებში, მეტყველების სახით ჩამოაყალიბოს,—შეუ-

ძლებელია მეცნიერული დებულებების შესწავლა ვაწარმოოთ. ამის გამო, დაწყებითი სკოლის პირველი და მთავარი ამოცანაა გაამდიდროს მოწაფეთა მეტყველება ახალი სიტყვებითა და ქმებით, აღზარდოს მოწაფეებში თავისუფლად, სწორად და გამომეტყველებით კითხვისა, სუფთად და სწორად წერისა და წაკითხულის გაგების უნარი და ჩვევები.

ამის შესაძლებლობას დღემდე არსებული სასწავლო გეგმა მთლიანად ვერ იძლეოდა. დედაენისათვის პირველ კლასში ყოველკვირეულად 14 საათი იყო გათვალისწინებული, ე. ი. მთელი სასწავლო დროის თითქმის 60 პროც. მართალია, მეორე კლასებში საათების რიცხვი უმნიშვნელო რაოდენობით მცირდებოდა მაგრამ, ორი წელი არ არის საკმარისი, რომ 7-8 წლის ასაკის ბავშვი კითხვაში კარგად გაეარჯიშდეს, სიტყვების ამოკითხვის ცოდნა მტკიცედ ჩვევად იქცეს, კითხვისა და წერის მექანიზმი, ბავშვის ხელი, განმტკიცდეს. მესამე კლასიდან იწყებოდა ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგნებისა. ამის გამო, დედაენას კვირაში მხოლოდ შვიდი საათი ანუ მთელი სასწავლო დროის დაახლოებით ერთი მეოთხედი ეთმობოდა. საათების ამგვარი სიმცირე ენაში სერიოზული წარმატების მოპოებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს.

მეორე მხრით, მესამე კლასებში ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიისათვის გამოყოფილი საათების რაციონალურად გამოყენებაც მოუხერხებელი ხდებოდა, რადგან ამ საგნების პროგრამები და სახელმძღვანელოები რთული იყო. ისტორიაში გათვალისწინებული იყო ისეთი რთული საკითხების შესწავლაც, როგორც არის, მაგალითად, სახელმწიფოს წარმოშობა, სახელმწიფო, როგორც ძალდატანებითი აპარატი, რუსეთში თავადაზნაურთა ბატონობის დამყარება და სხვ. მესამე კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო მოსწავლეებს შესასწავლად აწვდიდა ჰაერის შემადგენლობას, ელექტრობას ბუნებაში, მცენარეთა სიცოცხლესა და სხვა რთულ საკითხებს, ხოლო გეოგრაფიაში გათვალისწინებული იყო არა მარტო გეგმისა და რუკის, დედამიწის ზედაპირის, მიწისქვეშა წყლების, ქაობების, ზღვებისა და სხვ. მარტივად სწავლება, არამედ ისეთი რთული საკითხების დაუფლებაც, როგორც არის დედამიწის სფერო—მზის სისტემაში შემავალი სხეული, მისი სადღეღამისო და წლიური მოძრაობა და სხვ.

ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში შეტანილი მასალის დიდი ნაწილი სქემატური და მძიმე

ენით იყო დაწერილი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ამ საგნების პროგრამებით გათვალისწინებული კურსის შესწავლა არ ხერხდებოდა და უმეტეს ნაწილად ბავშვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მექანიკურად ზეპირობდნენ წიგნებში წარმოდგენილი ტექსტის ცალკე ადგილებს.

ამგვარად, ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების ასეთი სახით სწავლება ხელს უწყობდა ზეპირობას, რაც, თავის მხრივ, აქვეითებდა ბავშვებში კითხვისადმი ინტერესს.

ეს ნაადრევი მრავალსაგნიანობა გავლენას ახდენდა მესამე კლასების დედაენის სახელმძღვანელოზედაც. ისტორიული, საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული შინაარსის მოთხოვნებისა და ამ თემებზე დაწერილი მხატვრული შინაარსის სტატიების შეტანა დედაენის სახელმძღვანელოებში აღარ ხდებოდა. სახელმძღვანელო წიგნი დედაენაში თემატიკურად ერთფეროვანი და შინაარსით ღარიბი იყო, ბავშვის მზარდ მოთხოვნილებას, ბავშვის ინტერესს, კითხვისადმი ბავშვის მისწრაფებას ვერ აკმაყოფილებდა.

ნაკლი ახასიათებდა არითმეტიკის სწავლებასაც. რიცხვთა გაყოფადობის, ჩვეულებრივი და შერეული წილადების შეკრებისა და გამოკლების და მეოთხე კლასის არითმეტიკის პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სხვა რთული საკითხის შეგნებულად შესწავლა არ ხერხდებოდა, მათს შესასწავლად გათვალისწინებული დრო აკლდებოდა ძირითად განყოფილებებს, ამდენად, ამათი შესწავლაც მნიშვნელოვნად ფერხდებოდა.

დაწყებითი სკოლის სასწავლო პროგრამების გამარტივებაზე და სახელმძღვანელოების გაუმჯობესებაზე მუშაობა საქართველოს სსრ განსახკომმა ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ დაიწყო. კერძოდ, დედაენის სახელმძღვანელოების გაუმჯობესების მიმართულებით ბევრი რამ უკვე გაკეთდა: ი. გოგებაშვილის დედაენის მიხედვით შედგენილ იქნა ახალი დედაენა I და II კლასებისათვის; III და IV კლასის სახელმძღვანელოებში შეტანილ იქნა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ და სხვა წიგნებში მოცემული საუკეთესო მოთხრობები და მხატვრული სტატიები მცენარეების, ცხოველების, ბუნების მოვლენებისა და სხვ. რაც ბავშვს გასაგებად, საინტერესოდ და დამაჯერებლად აძლევს პირველ წარმოდგენებს ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების შესახებ.

ამდენად, ახალ სასწავლო გეგმაზე გადასასვლელად ერთგვარად უკვე შემზადებულია პირობები. მაგრამ ახალი სასწავლო გეგმა უფრო მეტ ცვლილებებს ითვალისწინებს.

ლისწინებს და რომ ეს ცვლილებანი სათანადოდ განვახორციელოთ  
1945-1946 სასწავლო წელსვე, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ქვემოთ  
მოცემული მითითებებით.

## ქართული ენა

ქართულ ენაში, მესამე კლასებში, დამატებითი 4 საათიდან 2 საათი უნდა მოხმარდეს წიგნზე მუშაობას. წესად უნდა შემოვიღოთ ასაკისათვის შესაფერი პატარა მოთხრობების, ლექსების, იგავ-არაკების, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ბუნების, მცენარეულისა და ცხოველების შესახებ მხატვრულად შედგენილი პატარა სტატიების სისტემატურად კითხვა. ასეთი მუშაობით უნდა მივალწიოთ იმას, რომ წიგნის დამოუკიდებლად კითხვის ინტერესი ბავშვებში გავაცხოველოთ. ისეთი წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ამ მიზნისათვის გამოსადეგი მასალა, ჯერჯერობით არა გვაქვს და მის გამოსვლამდე მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სკოლაში არსებული შესაფერი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

ორი დანარჩენი საათი მესამე კლასებში სუფთა წერას ეთმობა. წერისათვის წესიერი ჯდომა, საწერი ნივთების მოვლა და დაცვა, მათი სათანადოდ მომარჯვების ჩვევათა გამომუშავება, ასოთა წერა დადგენილი დედანის მიხედვით, სუფთა და სწორხაზოვანი წერა, ველის დატოვება, აბზაცი, ცალკე ასოთა გადაბმის ცოდნა და ჩვევა, — აი ის ძირითადი საკითხები, რაც ვათვალისწინებულა სუფთა წერის პირველი და მეორე კლასის პროგრამებით. ეს საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი გამოთიშვა. დღეს ერთის სწავლება, ხვალ კიდევ მეორისა, დაუშვებულა. მეორე კლასში, მაგალითად, წლის ბოლოს ბავშვს სათანადოდ უნდა შეეძლოს არა მარტო ასოების წერა დადგენილი მოხაზულობის მიხედვით, არამედ ასოების ერთმანეთთან სწორად გადაბმაც, წესიერი ჯდომა წერის დროს, საწერი ნივთების მოვლა და დაცვა და სხვ.

მაგრამ პირველ-მეორე კლასებში მიღებული ცოდნა-ჩვევანი საჭიროებენ განმტკიცებას, გაღრმავებას, სრულყოფას. ამდენად, მესამე კლასებში წარმოებს არა რაიმე ახალი ელემენტების შესწავლა სუფთა წერაში, არამედ ვარჯიში იმ ცოდნა-ჩვევების გასაღრმავებლად, რაც ბავშვებმა წინა კლასებში მიიღეს სუფთა წერის გაკვეთილებზე.

## რუსული ენა

რუსული ენის პროგრამები საფუძვლიანად არის გადაკეთებული. იმის გამო, რომ ამ სასწავლო წელს მეორე კლასებში რუსულ ენაში



სამი კვირეული საათია გამოყოფილი, მოწაფეთა მიერ აქტიურად შესწავლილი სიტყვების რიცხვი მესამე კლასებში 530-დღეა გაზრდილი. ახალ პროგრამას თან ერთვის მეორე და მესამე კლასებში მესამე სასწავლო აქტიურ სიტყვათა სიტყვარი-მინიმუმი, სიტყვარი-მინიმუმი დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლებს დიდ დახმარებას გაუწევს გაკვეთილების წინასწარ გეგმიანად მომზადების საქმეში; მასწავლებელს საშუალება ეძლევა ყოველ გაკვეთილზე იმ სიტყვების შეთვისებას მიაქციოს ყურადღება, რომელნიც ამ კლასის სიტყვარი-მინიმუმშია შეტანილი.

წელს, როგორც ეს უკვე იყო გამოქვეყნებული პრესაში, ჩვენი სკოლების მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებს ექნებათ ახალი სახელმძღვანელო რუსულ ენაში (შედგენილი იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-ს მიხედვით ს. ფურცელაძის, ავალიშვილისა და ჯაფარიძის მიერ). რუსულ ენაში მასწავლებლებს ისიც გაუადვილებს საქმეს, რომ ახალი პროგრამები და სახელმძღვანელო ზუსტად არის შეფარდებული ერთმანეთთან.

## არითმეტიკა

არითმეტიკის პროგრამაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: მესამე კლასის პროგრამის მოცულობა შემცირებული არ არის, მაგრამ შეცვლილია გამრავლებისა და გაყოფის შესწავლის თანმიმდევრობა. როგორც გამრავლება, ისე გაყოფა შეისწავლება სისტემატურად: ჯერ გამრავლების ყველა შემთხვევა, შემდეგ კი გაყოფისა.

მეოთხე კლასის პროგრამიდან ამოღებულია და გადატანილია მეხუთე კლასში შემდეგი საკითხები: რიცხვთა გაყოფადობა, ჩვეულებრივი წილადები, წილადების გაერთმნიშვნელობა, წილადების შედარება, ჩვეულებრივი წილადებისა და შერეულ რიცხვების შეკრება და გამოკლება, რიცხვის პოვნა მისი ნაწილის მიხედვით. მეოთხე კლასის პროგრამაში ახლად არის შეტანილი ათწილადების გამრავლება და გაყოფა მთელზე. დღემდე არსებულ პროგრამასთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გადიდებული საათები ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშისა და გავლილი მასალის განმეორებისათვის. დაწყებითი კლასების არითმეტიკის პროგრამის ამგვარი განტვირთვა შესაძლებლობას იძლევა მთელი კურსი საფუძვლიანად იქნას განმეორებული და სისტემაში მოყვანილი.

## ბუნებისმეტყველება

I, II, III კლასებში ბუნებისმეტყველებიდან რამდენიმე თემა უნდა იქნას შესწავლილი მშობლიური ენის გაკვეთილებზე.

საბუნებისმეტყველო ხასიათის თემების შესწავლა ამ კლასებში შემდეგი თანმიმდევრობით უნდა წარმოებდეს:

ა) პირველ კლასში მოსწავლეებს კონკრეტული წარმოდგენები უნდა მიეცეთ წელიწადის დროებისა და დროთა ცვლასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ ბუნებაში, სისუფთავის დაცვის შესახებ სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში, საზოგადოებრივ-საჯარო ადგილებში; ამავე დროს, ბავშვებს უნდა მიეცეთ ელემენტარული ცნობები ადამიანის სხეულის მოვლაზე;

ბ) მეორე კლასებში მოსწავლეებს უნდა მიეცეთ უმთავრესი ცნობები მცენარეულისა და ტყის მნიშვნელობასა, ტყისა, ბალისა და ბოსტნის მავნებლებისა და მოკეთებების შესახებ და პირველი წარმოდგენები ადამიანის შეგრძნებათა ორგანოებისა (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება, გემოვნება) და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;

გ) მესამე კლასებში მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ჩვენი ქვეყნის უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო მცენარეები, შინაური და გარეული ცხოველები, და, სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების განმტკიცების მიზნით, ვაწარმოოთ საუბრები სუნთქვისა, საქმლის მომწესრიგებელი და სისხლის მიმოქცევის ორგანოების დანიშნულებისა და მათი ჰიგიენის შესახებ.

მცენარეებისა და ცხოველების შესახებ პირველდაწყებითი ცოდნა ბავშვებს I, II, III კლასებში უნდა ეძლეოდეთ დედაენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სათანადო მასალების განხილვისას, მათთან ორგანიულ კავშირში, ხოლო საუბრები ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე სისტემატურად უნდა წარმოებდეს მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე.

IV კლასებში წელს ბუნებაში მუშაობა უნდა ვაწარმოოთ გასულ წელს არსებული IV კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს საფუძველზე. ამ წიგნის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ შემდეგი თემები: „მცენარეები“, „ცხოველთა სიცოცხლე“, „ადამიანის სხეულის აგებულება და სიცოცხლე“.

საბუნებისმეტყველო თემების თვალსაჩინოდ სწავლების მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სკოლის ცოცხალი კუთხე და ექსკურსიები ბუნებაში.

## ი ს გ ო რ ი ა

ახალი პროგრამების მიხედვით თავდაპირველ [ისტორიულ წარმოდგენებს მოსწავლეები II და III კლასებში მიიღებენ. ამისათვის

მშობლიური ენის სახელმძღვანელოში შეტანილია შესაფერისი მოთხოვნები და სტატიები. მშობლიური ენის გაკვეთილებზე ცოცხალი, მიზიდიელი თხოვნის საშუალებით მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს: მშრომელთა ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის, რევოლუციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ხალხთა დიდი ბე-  
ლადები, ხალხის სიყვარული თავის სამშობლოსადმი და როგორც წარსულში, ისე დიდი სამამულო ომის დღეებში გმირული ბრძოლა სამშობლოსათვის.

IV კლასში მოსწავლეები მასალის გარკვეული სისტემით შესწავ-  
ლაზე გადადიან. ისტორიული ამბები აქ ქრონოლოგიური თანმიმ-  
დევრობით გადმოიცემა უძველესი დროიდან დაწყებული ჩვენს  
დრომდის.

ისტორიის ახალ სახელმძღვანელოს გამოსვლამდის IV კლასში  
ზასწავლებელი გამოიყენებს ძველ სახელმძღვანელოს. გასულ სასწავლო  
წელს III კლასში ბავშვებმა უკვე გაიარეს სსრ კავშირის ისტორია  
უძველესი დროიდან პეტრე 1-ლის მეფობის დასაწყისამდის. IV  
კლასში სასწავლო წლის დასაწყისში 15-20 საათი უნდა დაეთმოს  
გასულ წელს გავლილის განმეორებას და ამის შემდეგ გადავიდეთ  
კურსის მომდევნო ნაწილის შესწავლაზე. მასწავლებელი უნდა შე-  
ჩერდეს მხოლოდ ყველაზე უფრო არსებითსა და ძირითადზე. მან  
მასალა ისეთი თანმიმდევრობით უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს, რომ  
მათ ნათელი წარმოდგენა მიიღონ შემდეგი ძირითადი ისტორიული  
ამბების შესახებ: უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყ-  
ნის ხალხთა ბრძოლა (გერმანელებთან, პოლონელებთან, ფრანგებთან,  
არაბებთან, მონღოლებთან, თურქებთან, სპარსელებთან); რევოლუ-  
ციური მოძრაობის ისტორია (გლეხთა აჯანყებები, მუშათა მოძრა-  
ობა, სამი რევოლუცია და სხვ.), ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პიროვ-  
ნებები; კულტურის ისტორია (კიევის რუსეთში, მოსკოვის სახელ-  
მწიფოში, განათლება პეტრე პირველის დროს, ლომონოსოვი, სსრ  
კავშირის ხალხთა კულტურა, განათლება დავით აღმაშენებლისა და  
თამარის დროს, რუსთაველი); საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო  
ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინება; გამარჯვების ორ-  
განიზატორი — ხალხთა დიდი ბელადი გენერალისიმუსი სტალინი;  
ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა ომის კრილობების სწრაფად  
მოშუშებისა და კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრების მოწყობისათვის.

## გ ე მ გ რ ა უ შ ი ა

ახალი პროგრამების მიხედვით პირველად გეოგრაფიულ ცნო-  
ბებს მოსწავლეები შეიკრებიან და შესაბამე კლასებში ღებულობენ. ამ მიზნით

მე-2 მე-3 კლასებში უნდა ჩატარდეს დაკვირვებანი და პრაქტიკული მეცადინეობა გეოგრაფიული გარემოს შესასწავლად.

დადგენილია გარემოს ადგილმდებარეობაზე დაკვირვებისა და პრაქტიკული მეცადინეობის შემდეგი მინიმუმი:

მე-2 კლასი: 1. ჰორიზონტზე დაკვირვება; 2. მანძილის გაზომვა მეტრისა და ხვეულას (რულეტის) საშუალებით; 3. საშუადღეო ხაზის გარკვევა და ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის პოვნა; 4. დაკვირვება მნიშვნელოვან სეზონურ მოვლენებზე.

მე-3 კლასი: 1. ადგილმდებარეობაზე ორიენტირება კომპასის საშუალებით; 2. მანძილის გაზომვა ნაბიჯით და თვალზომით; 3. ექსკურსია დედამიწის ზედაპირის ფორმების უშუალოდ გასაცნობად; 4. დედამიწის ზედაპირის ფორმის მოდელის დამზადება; 5. ამინდზე დაკვირვება; 6. ტოპოგრაფიულ გეგმებზე მარტივი ამოცანების ამოხსნა და სხვ.

IV კლასში მიმდინარე წელს მუშაობა იწარმოებს გასული წლის პროგრამითა და სახელმძღვანელოთი.

სხვა საგნებში — ფიზიკური მომზადება, ხატვა და მუსიკა — პროგრამები უცვლელი რჩება.

მეოთხე კლასებისათვის ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელო წიგნების პროექტები უკვე შედგენილია. ამჟამად მათი განხილვა-გადამუშავება მიმდინარეობს და ახლო მომავალში ჩვენი სკოლები ამ საგნებში სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

აქვე ვაქვეყნებთ ახალ სასწავლო გეგმებს:

## სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ ქართული დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის 1—4 კლასებისათვის

სასწავლო საგნები	კვირეული საათები			
	1 კ.	2 კ.	3 კ.	4 კ.
1. ქართული ენა	12	10	9	6
2. სუფთა წერა	2	2	2	—
3. რუსული ენა	—	3	5	5
4. არითმეტიკა	7	6	6	6
5. ბუნებისმეტყველება	—	—	—	2
6. ისტორია	—	—	—	3
7. გეოგრაფია	—	—	—	2



	ქვირეული საათები			
	1 კ.	2 კ.	3 კ.	4 კ.
8. ფიზიკური მომზ-ბა	1	1	2	
9. ხატვა	1	1	1/2	1/2
10. სიმღერა	1	1	1/2	1/2
<b>საათების ჯამი</b>	<b>24</b>	<b>24</b>	<b>25</b>	<b>27</b>

### სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ რუსული დაწესებულებით, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის 1—4 კლასებისათვის

საგნების დასახელება	ქვირეული საათი			
	1 კ.	2 კ.	3 კ.	4 კ.
1. რუსული ენა	12	11	9	6
2. სუფთა წერა	2	2	2	—
3. ქართული ენა	—	2	5	5
4. არითმეტიკა	7	6	6	6
5. ბუნებისმეტყველება	—	—	—	2
6. ისტორია	—	—	—	3
7. გეოგრაფია	—	—	—	2
8. ფიზიკური მომზ-ბა	1	1	2	2
9. ხატვა	1	1	1/2	1/2
10. სიმღერა	1	1	1/2	1/2
<b>საათების ჯამი</b>	<b>24</b>	<b>24</b>	<b>25</b>	<b>27</b>

### სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ სომხური და აზერბაიჯანული დაწესებულებით, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის 1—4 კლასებისათვის

სასწავლო საგნები	ქვირეული საათი			
	1 კ.	2 კ.	3 კ.	4 კ.
1. დედაენა	12	10	7	5
2. სუფთა წერა	2	2	2	—
3. ქართული ენა	—	2	3	3
4. რუსული ენა	—	—	5	5
5. არითმეტიკა	7	7	5	5
6. ბუნებისმეტყველება	—	—	—	2



7. ისტორია	—	—	—	
8. გეოგრაფია	—	—	—	
9. ფიზიკური მომზ-ბა	1	1	2	
10. ხატვა	1	1	1	1
11. სიმღერა	1	1	1	1
საათების ჯამი	24	24	26	29

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოზოლაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე

შეკვეთის № 1052 უფ 08130 ტირაჟი 3000

დ. პ. ბერეას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.